საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინება: პრაქტიკა და ტენდენციები

ავტორი: თამარ ქეცბაია[1]

რედაქტორი: ირინა გურგენაშვილი[2]

1. შესავალი

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი ეფუძნება კონცენტრირებულ მოდელს, რომელსაც სპეციალიზებული ორგანო - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - ახორციელებს. ამ მოდელის[3] ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება, ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს და ნორმა ძალადაკარგულად ცნოს. ამასთან, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა, მასში ასახული ღირებულებების განმარტება, გამოყენება და დაცვა წარმოადგენს საერთო სასამართლოების ზრუნვის საგანსაც.[4] კერძოდ, მართლმსაჯულების განხორციელებისას ისინი, ერთი მხრივ, ვალდებული არიან, გამოსაყენებელი ნორმა განმარტონ კონსტიტუციის შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, ნორმის არაკონსტიტუციურობის საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისას, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს.

საერთო სასამართლოები საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების გზით მიმართავენ. ეს მექანიზმი არსებითად განსხვავდება კონსტიტუციური სარჩელისა და საკონსტიტუციო კონტროლის სხვა ფორმებისგან. უპირველეს ყოვლისა, საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინება საქართველოში კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ის მექანიზმია, რომელიც უშუალოდ საერთო სასამართლოში

[1]Gnomon Wise-ის მკვლევარი. E-mail: t.ketsbaia@ug.edu.ge

[2] Gnomon Wise-ის აღმასრულებელი დირექტორი. E-mail: i.gurgenashvili@ug.edu.ge

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის მოდელთან დაკავშირებით ვრცლად იხილეთ, დ. ზედელაშვილი, თ. ქეცბაია და ა. მანგოშვილი, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა, კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, თბილისი, 2024. https://gnomonwise.org/storage/publications/October2024/cDH11ApVhNEmXH7OHboE.pdf

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-10. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13464

მიმდინარე კონკრეტული დავიდან აღმოცენდება და მის გადაწყვეტას ორგანულად უკავშირდება.

ამასთანავე, საერთო სასამართლოს წარდგინებას შინაარსობრივად ფართო არეალი აქვს: თუ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი (ისევე, როგორც სახალხო დამცველის სარჩელი) შეზღუდულია და სარჩელის წარმდგენებს შესაძლებლობას აძლევს, მხოლოდ კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებული ძირითადი უფლებების დარღვევაზე იდავონ,[5] წარდგინების ავტორი მოსამართლე/სასამართლო მხოლოდ ძირითადი უფლებების თავით არ არის შეზღუდული. მას შეუძლია მოითხოვოს ნორმის როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით შემოწმება კონსტიტუციის ნებისმიერ დებულებასთან მიმართებით,[6] რაც დამახასიათებელია აბსტრაქტული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმისთვისაც.[7]

წარდგინების კიდევ ერთი საკვანძო მახასიათებელი სადავო ნორმატიული აქტის სამართლებრივი ეფექტის დროებითი განეიტრალება და კონკრეტულ საქმეზე მისი გამოყენების ავტომატური შეჩერებაა. ამით იგი განსხვავდება ინდივიდუალური, სახალხო დამცველისა თუ აბსტრაქტული კონსტიტუციური სარჩელებისგან, რომელთა შემთხვევაში სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება გამონაკლისს წარმოადგენს და დამოკიდებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი მკაცრი სტანდარტის (მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგების დადგომის საფრთხის დასაბუთება[8]) დაკმაყოფილებაზე.[9] პოტენციურად, არაკონსტიტუციური ნორმის შეუჩერებლობის ეფექტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა კონსტიტუციური კონტროლის ქართულ მოდელში, რომელიც არ იცნობს

[5]საქართველოს კონსტიტუცია, 786, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995. კონსოლიდირებული ვერსია, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის N8/177/2 გადაწყვეტილება საქმეზე „ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=235; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 3 დეკემბრის N11/203/2 გადაწყვეტილება საქმეზე „თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის კონსტიტუციური წარდგინება“, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=141; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=885.

[7] 2024 წლის 18 ივლისის N1828 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე „საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16675.

[8] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, N95, პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996, კონსოლიდირებული ვერსია, მუხლი 25(5). https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944?publication=38

[9] გასათვალისწინებელია, რომ ამ გზით ნორმის მოქმედების შეჩერება იძენს საყოველთაო ეფექტს, ხოლო წარდგინების მექანიზმი უზრუნველყოფს ნორმის მოქმედების ეფექტის შეჩერებას ლოკალურად, უშუალოდ იმ კონკრეტული დავის ფარგლებში, რომელშიც იგი უნდა გამოეყენებინათ.

სრული ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის უფლებას და, ზოგადი წესით, არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიულ ეფექტს (გამონაკლისია სისხლის სამართლის საქმეები). შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში, გამოსაყენებელი ნორმა, თუნდაც ის მომავალში არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს, ვეღარ აღადგენს იმ პირთა უფლებებს, რომელთა დავაც ამ ნორმის საფუძველზე უკვე დასრულებულია.

სწორედ ამ კონტექსტში იკვეთება საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის პრაქტიკული მნიშვნელობა: კონკრეტულ დავაზე საქმის წარმოების ავტომატური შეჩერება ამცირებს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანის რისკებს. ამასთან, მართალია, ეს პროცესი გარკვეულწილად აჭიანურებს მართლმსაჯულებას, თუმცა, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშია აღნიშნული, არაკონსტიტუციური კანონის გამოყენების პრევენცია უპირატესია საქმის სწრაფად გადაწყვეტის ინტერესთან შედარებით, ვინაიდან „...საქმის გადაწყვეტის სისწრაფე აზრს კარგავს, თუკი ის არაკონსტიტუციური კანონის საფუძველზე ხორციელდება“.[10]

კონსტიტუციური წარდგინება აგრეთვე შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსამართლის ფუნქციური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია. იგი მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს, არ გახდეს იმ ნორმის გამოყენების იძულებითი გამტარი, რომლის კონსტიტუციურობაშიც საფუძვლიანი ეჭვი ეპარება და გადაწყვეტილების მიღებისას, მხოლოდ უზენაესი კანონის შესაბამისად იმოქმედოს.

ამავდროულად, წარდგინება აყალიბებს ინსტიტუციური თანამშრომლობისა და სამართლებრივი დიალოგის მოდელს ორ სასამართლო სისტემას შორის. ერთ მხარეს არის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც, თავისი ინსტიტუციური ბუნებიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ კონტროლს მხოლოდ შეზღუდულად ახორციელებს: მას მსჯელობა მხოლოდ წარდგენილი მოთხოვნის ფარგლებში შეუძლია. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი ინიციატივით ვერ რეაგირებს კანონმდებლობის პოტენციურ კონსტიტუციურ ხარვეზებზე. მეორე მხარეს კი საერთო სასამართლოს მოსამართლეა, რომელიც კონსტიტუციური კონტროლის პირდაპირი განხორციელების შესაძლებლობას მოკლებულია. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტული საქმის განხილვისას, უშუალოდ აწყდება

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება, II-12.

გამოსაყენებელი ნორმის პრაქტიკულ შედეგებსა და შესაძლო უფლებრივ პრობლემებს,[11] სწორედ ის ახდენს ნორმის კონსტიტუციურობის პირველად შეფასებას[12]. კერძოდ, ყოველ ჯერზე, საქმის გადასაწყვეტად კანონის გამოყენების დროს, მოსამართლე ადასტურებს რწმენას მისი კონსტიტუციურობის შესახებ, ხოლო როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით მიმართავს, აფიქსირებს დასაბუთებულ ვარაუდს ნორმის შესაძლო არაკონსტიტუციურობასთან მიმართებით. ამგვარად, კონსტიტუციური წარდგინება საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის აყალიბებს უნიკალურ ინსტიტუციურ კავშირს, რომლის ფარგლებშიც ფუნქციათა გადანაწილებით სასამართლო ხელისუფლება ზრუნავს საჯარო ინტერესისა და კონსტიტუციური წესრიგის დაცვაზე.[13]

თუმცა მექანიზმის ნორმატიული არსებობა და სამართლებრივი პოტენციალი თავისთავად არ ნიშნავს, რომ მას პრაქტიკაში აუცილებლად ეფექტიანად და აქტიურად გამოიყენებენ. კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტები შეიძლება არსებობდეს, როგორც სამართლებრივი შესაძლებლობები, მაგრამ მათი რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ ინსტიტუტების მზადყოფნაზე, რომლებსაც ეს შესაძლებლობები აქვთ და მზად არიან, ისინი საკუთარი კონსტიტუციური როლის შესაბამისად გამოიყენონ.[14]

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, მართლმსაჯულების განხორციელებისას თითოეულ მოსამართლეს ჰქონდეს შინაგანი მისწრაფება („ამბიცია“),[15] აქტიურად გამოვიდეს კონსტიტუციური წესრიგის დამცველად და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური ვალდებულების შესრულებით. იგივე შეიძლება ითქვას საკონსტიტუციო სასამართლოზეც. წარდგინების მექანიზმი მხოლოდ მაშინ ქმნის რეალურ ინსტიტუციურ თანამშრომლობას და იძენს მნიშვნელობას, როდესაც საერთო სასამართლოების მიერ მისთვის გადაცემულ საკითხებს თავად საკონსტიტუციო სასამართლოც სათანადო

[11] Venice Commission, CDL-AD(2010)039rev, „Study on individual access to constitutional justice," Adopted by the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), გვ. 17. https://www.coe.int/en/web/venice-commission/-/cdl-ad-2010-039rev-e

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, კონსტანტინე ვარძელაშვილის, განსხვავებული აზრი გადაწყვეტილების მოტივაციის ნაწილთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილებაზე. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1997

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608, 609 გადაწყვეტილება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებებზე, II-6. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=744

[14] Venice Commission, CDL-AD (2010)039rev., გვ. 17.

[15] James Madison, „Federalist No. 51,“ Federalist Papers: Primary Documents in American History, Research Guides at Library of Congress,“ https://guides.loc.gov/federalist-papers/text-51-60

პასუხისმგებლობითა და დროულად განიხილავს (მით უფრო, როდესაც მოქმედი კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოს ევალება, პრიორიტეტულად განიხილოს კონსტიტუციური წარდგინება[16]).

ამიტომ მექანიზმის გამოყენების პრაქტიკული გამოცდილებისა და ძირითადი ტენდენციების შესწავლა მნიშვნელოვანია იმის გასააზრებლად, **რამდენად გარდაიქმნება სამართლებრივად არსებული შესაძლებლობა რეალურად მოქმედ ინსტიტუტად.** მექანიზმის პრაქტიკული მოქმედების შესწავლისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რამდენად ხშირად მიმართავენ საერთო სასამართლოები საკონსტიტუციო სასამართლოს, არამედ ისიც, რომელი სამართლებრივი საკითხები ხდება წარდგინების საფუძველი, როგორ პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლო ამ მიმართვებს, რა დრო სჭირდება მათ განხილვას და როგორია მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები.

წარდგინების ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებასა და პროცესუალურ თავისებურებებზე ქართულ აკადემიურ სივრცეში არაერთხელ უმსჯელიათ. არსებული ნაშრომები და ანალიტიკური მასალები, რომლებიც ძირითადად 2023 წლამდე პერიოდს ფარავს,[17] წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. წინამდებარე კვლევა მათზე დაყრდნობით, თუმცა უფრო ფართო ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით, შეისწავლის საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების პრაქტიკას, რომელიც მისი ამოქმედებიდან - 1997 წლიდან 2026 წლის 1-ელი ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს.

ამ მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხელმისაწვდომად ქცეულ ელექტრონულ ბაზაში (www.constcourt.ge) გაერთიანებული 110 წარდგინების საფუძველზე,

[16] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 22(5) და მუხლი 31^2(13).

[17] იხ. ბ. ლოლაძე, ზ. მაჭარაძე და ა. ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თავი 4.3 - საერთო სასამართლოების წარდგინება, გვ. 185-211, თბილისი 2021. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/478508/1/Sakonstitucio_Martlmsajuleba_2021.pdf; ჯ. ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თავი 3 - ნორმათა კონკრეტული კონტროლი, გვ. 46-72, თბილისი 2020; გ. დავითური და გ. დავითაშვილი, საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2021, https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2021/06/28.-saertho-sasamarthlos-konstitutsiuri-tsardginebis-instrumentis-gamoqhenebis-praqtikuli-sa.pdf; გ. კახიანი, „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი“, თბილისი 2008. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Giorgi_Kaxiani.pdf; საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: საქმიანობის 10 წლის მიმოხილვა (2012-2013 წლები), თბილისი 2023, https://gdi.ge/storage/files/doc/Const%20Court%20Geo..pdf; ს. ბერიშვილი, „საერთო სასამართლოების მოსამართლეები საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით იშვიათად მიმართავენ“, საქართველოს სასამართლოს გუშაგი, 30.01.2023. https://courtwatch.ge/articles/const-submission

გაანალიზებულია მათი დროითი დინამიკა, წარმდგენი სასამართლოები, წარდგინებებში დასმული სამართლებრივი საკითხები, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მათი განხილვის ხანგრძლივობა და საბოლოო შედეგები. რაოდენობრივ მონაცემებს ავსებს შესაბამისი საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების, საკანონმდებლო ჩარჩოსა და აკადემიური ლიტერატურის თვისებრივი ანალიზი, რაც შესაძლებლობას იძლევა, გამოვლენილი ტენდენციები ინსტიტუციურ კონტექსტში გაანალიზდეს და მათი სავარაუდო მიზეზების გარშემო სადისკუსიო სივრცე შეიქმნას.

წინამდებარე კვლევის მე-2 თავში წარმოდგენილია კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის ევოლუცია, სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკის ცვლილების ქრონოლოგიური განხილვით. ასევე შემოთავაზებულია ის ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა ხსნიდეს მიმართვიანობის დინამიკას. მე-3 თავში რაოდენობრივი მონაცემები ერთიან სურათად არის წარმოდგენილი და მოწმდება, რამდენად თანმიმდევრულია ინსტიტუტის გამოყენება დროში, სასამართლოებისა და საკითხების მიხედვით, როგორი შედეგებით სრულდება წარდგინებები და რა დრო სჭირდება მათ განხილვას. მე-4 თავი აჯამებს წინამდებარე ანალიზს, გამოკვეთს მთავარ მიგნებებსა და საკითხებს, რომლებიც შემდგომ კვლევას საჭიროებს.

2. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკის ევოლუცია

საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირი ფორმულირებით მხოლოდ 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით[18] გაჩნდა. კონსტიტუციის შესაბამისი დებულების[19] თანახმად, საერთო სასამართლო ამ მექანიზმით სარგებლობს მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვისას გამოსაყენებელ ნორმატიულ აქტთან მიმართებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს ამ აქტის კონსტიტუციასთან შესაძლო შეუსაბამობის თაობაზე საფუძვლიანი ვარაუდი აქვს. კონსტიტუციის 2018 წლამდე მოქმედი რედაქცია (1995 წლიდან მოყოლებული) ამ საკითხზე მხოლოდ ზოგად მითითებას შეიცავდა: სასამართლო მოხსენიებული იყო საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლების მქონე

[18] საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, 1324-რს, 13/10/2017, ვებგვერდი, 19/10/2017.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3811818?publication=2

[19] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60, პუნქტი 4, „გ“ ქვეპუნქტი.

სუბიექტთა ჩამონათვალში, ხოლო თავად მექანიზმის პროცესუალურ დეტალიზაციას ორგანულ კანონს მიანდობდა.[20]

ერთი შეხედვით, 2017-2018 წლები ამ ინსტიტუტის განვითარების საწყის ეტაპად შეიძლება მოგვეჩვენოს. სინამდვილეში, იგი, თითქმის იმავე კონსტრუქციით, რომელსაც დღეს კონსტიტუცია პირდაპირ ადგენს, არსებითად უკვე 1996-1997 წლებიდან მოქმედებდა როგორც „საერთო სასამართლოების შესახებ“, ისე „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონებში. მეტიც, პირველი კონსტიტუციური წარდგინება სწორედ 1997 წელს დარეგისტრირდა.[21] ამ ინსტიტუტსა და მის პროცედურულ შედეგებს ასევე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებიც განსაზღვრავდა.

მართალია, ხსენებული ნორმატიული აქტების ტექსტები ერთმანეთისგან გარკვეულწილად განსხვავდებოდა და ეს არაერთგვაროვნება დღემდეა შენარჩუნებული (რაც ბევრ საკითხს ბუნდოვანს ტოვებს), ინსტიტუტის ძირითადი ფუნქციური კონსტრუქცია - საერთო სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვისას გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება (რომლის ბუნებასთან დაკავშირებით - უფლებაა თუ ვალდებულება - ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა[22]) და, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქმის განხილვის შეჩერების ვალდებულება - არსობრივად უცვლელი დარჩა სამი ათეული წლის განმავლობაში.

თუმცა, ამ ფუნქციური უწყვეტობის მიღმა, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ იცვლებოდა ამ ინსტიტუტის გაგება და კონკრეტული მახასიათებლები დროთა განმავლობაში, როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო პრაქტიკის დონეზე. შემდეგ ქვეთავებში

[20] საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუცია, 786, 24/08/1995, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, პირველადი სახე (24/08/1995 – 20/07/1999), მუხლი 89. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=0

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 მაისის N2/49/1 განჩინება ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წარდგინებაზე. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=54

[22] ქართულ აკადემიურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, წარდგინების ინსტიტუტი მოსამართლის უფლებაა, თუ - კონსტიტუციური ვალდებულება. ავტორთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი ვერ ჩაითვლება ვალდებულებად, ვინაიდან შეუძლებელია მოსამართლის სუბიექტური ეჭვის წარმოშობის მომენტის შემოწმება. ამასთან, წარდგინების ვალდებულებად გაგება მოსამართლეს აიძულებდა, ყოველ საქმეზე დაესაბუთებინა ამგვარი ეჭვის არარსებობაც (დეტალურად იხილეთ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თბ., 2002, გვ. 64-65). ავტორთა ნაწილი წარდგინების ინსტიტუტს მოსამართლის ვალდებულების კონტექსტში ახსენებს იმ ლოგიკაზე დაყრდნობით, რომ სასამართლო ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით; შესაბამისად, ის ვალდებულია, გადაწყვეტილება არ დააფუძნოს არაკონსტიტუციურ ნორმას, გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისას კი ვალდებულია, საქმე გადასცეს საკონსტიტუციო სასამართლოს (იხ. ლოლაძე ბ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბ., 2021, გვ. 188-189). https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/478508/1/Sakonstitucio_Martlmsajuleba_2021.pdf

ქრონოლოგიურად არის წარმოდგენილი ინსტიტუტის განვითარების ძირითადი ეტაპები მისი ამოქმედებიდან დღემდე. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, თუ რა წვლილი შეიძლება შეეტანა სამართლებრივ ჩარჩოს საკონსტიტუციო წარდგინების მექანიზმის გამოყენებაზე, რა ფაქტორები შეიძლება უკავშირდებოდეს მისი გამოყენების მკვეთრ შემცირებას 2004 წლიდან 2014 წლამდე და 2014-2016 წლებში ხელახალ გააქტიურებას.

2.1. კონსტიტუციური წარდგინების სამართლებრივი საფუძვლები და პროცედურული ჩარჩო (1997-2014)

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 1997 წლიდან მოყოლებული (როგორც ძველი, უკვე ძალადაკარგული,[23] ისე მოქმედი რედაქცია[24]), მოსამართლის დამოუკიდებლობის მარეგულირებელი მუხლის ფარგლებში, უცვლელად აწესრიგებს წარდგინების ინსტიტუტსა და მასთან ორგანულად დაკავშირებულ საქმის განხილვის შეჩერების ვალდებულებას - საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტამდე.[25]

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონშიც წარდგინების ინსტიტუტი და წარმდგენი სუბიექტი თავიდანვე „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის იდენტური ფორმულირებით განისაზღვრა.[26] მათ შორის, ამავე კანონის 42-ე მუხლი განმარტავდა, რომ საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება საქმის განმხილველ სასამართლოს ჰქონდა. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ინსტიტუტის ამოქმედების პირველ წლებში, წარდგინების ავტორის (საქმის განმხილველი სასამართლოს) ვიწრო, ამ ინსტიტუტის ფუნქციური ლოგიკის საწინააღმდეგო ინტერპრეტაციის საპასუხოდ, საჭირო გახდა საკანონმდებლო დაზუსტება.

[23] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, N767, პარლამენტის უწყებანი, 33, 31/07/1997 (ძალადაკარგულია - 04.12.2009, N2257). https://matsne.gov.ge/ka/document/view/31684?publication=0

[24] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, N2257, სსმ, 41, 08/12/2009, კონსოლიდირებული ვერსია (25.09.2026-ის მდგომარეობით). https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=61

[25] მუხლი 7. მოსამართლის დამოუკიდებლობა: 3. „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ“.

[26] საქართველოს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, N95, პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996, მუხლი 20. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944?publication=0

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის პრაქტიკით, წარდგინებით მიმართვის უფლება ჰქონდა მხოლოდ სასამართლოს, როგორც კოლეგიურ ორგანოს და არა - ერთპიროვნულად მოსამართლეს.[27] თუმცა მომდევნო წლებში მიდგომა გამკაცრდა: საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა წარდგინებების განხილვაზე იმ მოტივით, რომ მიმართვის უფლებამოსილება ჰქონდა არა საქმის განმხილველ მოსამართლეს/კოლეგიას, არამედ უშუალოდ შესაბამის სასამართლო დაწესებულებას, მიუხედავად იმისა, დავა ერთპიროვნულად წყდებოდა, თუ - კოლეგიურად.[28]

2002 წლის ცვლილებებით დაკონკრეტდა,[29] რომ „განმხილველი სასამართლოს წარდგინებად“ ითვლება როგორც საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის, ისე კოლეგიური შემადგენლობის გადაწყვეტილებით მიღებული წარდგინება. ეს დაზუსტება მნიშვნელოვანია, რადგან, თუკი კონსტიტუციური ეჭვის იდენტიფიცირება კონკრეტული საქმის განმხილველ მოსამართლეს/შემადგენლობას ეკუთვნის, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლოს, როგორც ინსტიტუციას, მიეწერება, შესაძლოა მოსამართლის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასა და სასამართლოს ინსტიტუციურ პოზიციას შორის დაპირისპირება წარმოიშვას. ამგვარი მოდელი, თეორიულად, ქმნის რისკსაც, რომ წარდგინების ინსტიტუტი, რომელიც მოსამართლის დამოუკიდებლობისა და კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის მექანიზმად უნდა ფუნქციონირებდეს, მოსამართლის პოზიციის ინსტიტუციური კონტროლის საშუალებად იქცეს. შესაბამისად, წარდგინების ავტორის სწორად განსაზღვრას მხოლოდ ტექნიკური ან ფორმალური მნიშვნელობა არ აქვს - იგი თავად ინსტიტუტის არსს უკავშირდება.

საპროცესო კანონმდებლობაში წარდგინების ინსტიტუტი არსებობდა ორგანული კანონების ტექსტისგან განსხვავებული ფორმულირებით (მათ შორის, ერთმანეთისგან განსხვავდებოდა თავად საპროცესო კოდექსებიც). კერძოდ, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ მე-6 მუხლი, თავდაპირველი რედაქციიდან მოყოლებული, ამ მექანიზმს მოსამართლის დამოუკიდებლობის კონტექსტში მოიხსენიებს და სასამართლო განხილვის შესაჩერებლად

[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 მაისის N2/49/1 განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წარდგინება“ https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=54).

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის N1/6/115 განჩინება საქმეზე „ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება“, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=103; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის N1/8/116 განჩინება საქმეზე „ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება“, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=104

[29] საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონი N1264 - სსმ I, N4, 05.03.2002. წ., მუხლ.14 https://matsne.gov.ge/ka/document/view/15904?publication=0

პროცედურულ შესაძლებლობას ქმნის,[30] ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, საქმის წარმოების შეჩერების ჭრილში, იგი მხოლოდ პროცესუალურ გარანტიად გვევლინება (ძველი კოდექსის 29-ე მუხლი,[31] მოქმედი 167-ე მუხლი[32]). ამ განსხვავების მიუხედავად, ორივე შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობა მექანიზმს ძირითადად წარმოების შეჩერების პროცედურულ ჭრილში აწესრიგებს. ამასთან, ორგანულ კანონმდებლობასთან ტექსტობრივი აცდენებისა და არასაკმარისი დეტალიზაციის გამო, შეიძლება მექანიზმის გამოყენების წინაპირობები მოსამართლისთვის ბუნდოვანი იყოს.

აკადემიურ ლიტერატურაში ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად მიიჩნევა საპროცესო კანონმდებლობით წარდგინების ფარგლების დავიწროება. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის უფლება ვრცელდება არა ზოგადად ნორმატიულ აქტზე, არამედ მხოლოდ კანონზე. ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასამართლო წარმოების შეჩერების ვალდებულებას ადგენს მხოლოდ კანონის კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში.

განსხვავებულად რეგულირდება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის დასაბუთების სტანდარტიც. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ უთითებს არა „საკმარის საფუძველზე“ (როგორც ეს ორგანული კანონმდებლობით იყო რეგულირებული, ხოლო შემდეგ კონსტიტუციაში „საფუძვლიან ვარაუდად“ ტრანსფორმირდა), არამედ „სასამართლოს აზრზე“. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საერთოდ არ განსაზღვრავს კონკრეტულ სტანდარტს, რომლითაც მოსამართლემ მიმართვისას უნდა იხელმძღვანელოს. მეტიც, ეს უკანასკნელი, ორგანული კანონისგან განსხვავებით, შეჩერების საკითხს მხარის შუამდგომლობას უკავშირებს,[33] რაც ლოგიკურ წინააღმდეგობას იწვევს,

[30] მუხლი 6. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი კანონისადმი დამორჩილება, „2.თუ საქმის გამხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისთვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება“, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, N1106, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, კონსოლიდირებული ვერსია, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=178

[31] საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, N1251, პარლამენტის უწყებანი, 13-14, 20/03/1998, ძალის დაკარგვის თარიღი: 01/10/2010. https://matsne.gov.ge/document/view/31882?publication=103

[32] საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, N1772, სსმ, 31, 03/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია, მუხლი 167(1(დ)). https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=178

[33] „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, მუხლი 167(3) „ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში გამოძიებისას პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას - სასამართლო მხარის შუამდგომლობით იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ“.

ვინაიდან წარდგინების შეტანისთანავე შეჩერება, ორგანული კანონის მიხედვით, ისედაც იმპერატიული მოთხოვნაა და მხარის ინიციატივას არ საჭიროებს. წარდგინების ინსტიტუტის ამგვარი გაგება ეწინააღმდეგება მის ბუნებას, აქცევს რა მას არა მოსამართლის ხელთ არსებულ მექანიზმად, არამედ მხარის მიერ პროცესზე გავლენის მოხდენის ინსტრუმენტად.

ამგვარი განსხვავებები კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ერთი და იგივე ინსტიტუტი სხვადასხვა ნორმატიულ აქტში ერთმანეთთან შეუსაბამო ენით არის ჩამოყალიბებული. ეს, თავისთავად, არ ნიშნავს, რომ მოსამართლეები მექანიზმს აუცილებლად შეცდომით (ორგანული კანონით დადგენილი წესისგან განსხვავებულად) იყენებენ. თუმცა განსხვავებულმა ფორმულირებებმა შესაძლოა საერთო სასამართლოს მოსამართლისთვის მექანიზმის გამოყენების წინაპირობები ნაკლებად მკაფიო გახადოს და ამ მექანიზმის გამოყენების გზაზე დააბრკოლოს.

პრაქტიკაზე დაკვირვებაც ცხადყოფს, რომ ამ მექანიზმის გამოყენებისას წარდგინების ავტორები, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ და მიმართვის სამართლებრივ საფუძვლად უთითებენ ორგანული კანონების შესაბამის დებულებებს. თუმცა ცალკეულ საქმეებთან მიმართებით ნორმის სწორად გამოყენება თავისთავად ვერ გამორიცხავს ტექსტობრივი არაერთგვაროვნების შესაძლო პრობლემას. ამასთან, არსებული სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რამდენი წარდგინება შეიტანეს და რა ფორმით, მაგრამ ვერ გვაძლევს პასუხს იმაზე, თუ რამდენ შემთხვევაში შეიკავა თავი საერთო სასამართლოს მოსამართლემ მექანიზმის გამოყენებისგან, საკანონმდებლო ბუნდოვანების ან სხვა მიზეზით. შესაბამისად, ეს საკითხი უნდა განიხილებოდეს არა როგორც დადასტურებული მიზეზობრივი შედეგი, არამედ როგორც ერთ-ერთი შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორი, რომლის გავლენის დადგენაც მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემებით შეუძლებელია.

2.2. ადრეული პრაქტიკა: საკონსტიტუციო სასამართლოს მკაცრად ფორმალისტური მიდგომა (1997-2004)

საინტერესოა, განვიხილოთ წარდგინების ინსტიტუტის ადრეული პერიოდი, რომელიც, საკანონმდებლო ბუნდოვანებასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს მკაცრად ფორმალისტური მიდგომით ხასიათდება. კერძოდ, 1997 წლიდან 2004 წლის ჩათვლით პერიოდში დარეგისტრირებული 16 კონსტიტუციური წარდგინებიდან, დასაშვებობის ეტაპი გადალახა მხოლოდ 4-მა წარდგინებამ (საიდანაც მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა). დანარჩენი 12-დან, 9 წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლომ სხვადასხვა ფორმალური/პროცედურული საფუძვლით (მაგალითად, წარმდგენი არ იყო სათანადო სუბიექტი, სადავო ნორმა არ წარმოადგენდა ნორმატიულ აქტს, წარდგინება არ იყო

საკმარისად დასაბუთებული, კონსტიტუციური დებულება არასწორად იყო იდენტიფიცირებული) უარყო. 3 შემთხვევაში საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტა გამოიწვია განხილვის ეტაპისთვის სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებამ. შედეგად, შემთხვევათა 75%-ში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო, ფორმალური საფუძვლის გამო, წარდგინებას განუხილველად ტოვებდა, კონკრეტულ საქმეში არსებული სავარაუდო კონსტიტუციური პრობლემა არსებითი განხილვის მიღმა რჩებოდა.

თავის მხრივ, ამგვარ მიდგომას არაერთი პრაქტიკული და ინსტიტუციური ეფექტი შეიძლება ჰქონოდა. ერთი მხრივ, მკაცრი ფორმალური მოთხოვნები საერთო სასამართლოს მოსამართლისთვის დამატებით ტვირთს ქმნიდა: მას არა მხოლოდ კონსტიტუციური ეჭვის იდენტიფიცირება, არამედ ამ ეჭვის იმ ფორმით ჩამოყალიბებაც მოეთხოვებოდა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს პროცედურულ და კანონის ბუნდოვან მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ეს დამატებით დროსა და რესურსს საჭიროებდა და, შესაბამისად, შესაძლოა გავლენას ახდენდა მოსამართლის გადაწყვეტილებაზე, გამოეყენებინა, თუ - არა საერთოდ აღნიშნული მექანიზმი.

მეორე მხრივ, შესაძლოა ფორმალური ხარვეზის გამო წარდგინების განუხილველად დატოვებული წარდგინების ინსტიტუციური ეფექტი უფრო მასშტაბური ყოფილიყო. თუ საერთო სასამართლოს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეში გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით ეჭვი ჰქონდა, მაგრამ წარდგინება, ფორმალური ხარვეზის გამო, განუხილველი დარჩა, მოსამართლეს საქმის გადაწყვეტა კვლავ იმავე ნორმის საფუძველზე უწევდა. ამგვარი ვითარება შესაძლოა პრობლემური ყოფილიყო არა მხოლოდ მოსამართლისთვის, არამედ მართლმსაჯულების მიმართ პროცესის მონაწილეთა ნდობის თვალსაზრისითაც, რადგან მათ შეიძლება შექმნოდათ განცდა, რომ საქმე გადაწყდა იმ ნორმის საფუძველზე, რომლის კონსტიტუციურობაშიც თავად გადაწყვეტილების მიმღებმა სასამართლომ ეჭვი შეიტანა.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეს ეფექტი არ განვიხილოთ, როგორც აუცილებელი ან დადასტურებული შედეგი. საუბარია შესაძლო ინსტიტუციურ და ნდობით ეფექტზე, რომელიც შეიძლება წარმოშობილიყო მაშინ, როდესაც პროცედურული მოთხოვნის შეუსრულებლობა კონსტიტუციური პრობლემის არსებით განხილვას გამორიცხავდა.

2.3. 2004-2014 წლები: ხანგრძლივი პაუზა და მისი შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორები

განსაკუთრებით საინტერესოა 2004-2013 წლების პერიოდი, როდესაც საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების პრაქტიკა ფაქტობრივად წყდება.

არსებული რაოდენობრივი მონაცემები, წარდგინებათა შინაარსობრივი ანალიზი თუ ხელმისაწვდომი ლიტერატურა არ გვაძლევს შესაძლებლობას, ცალსახად განვსაზღვროთ, რატომ არ გამოიყენებოდა ეს მექანიზმი იმ პერიოდში. შესაძლოა, ერთი მხრივ, ეს აიხსნება იმით, რომ, საკანონმდებლო ბუნდოვანების ფონზე, საკონსტიტუციო სასამართლოს ადრეული, შედარებით მკაცრი ფორმალისტური მიდგომა და საერთო სასამართლოების მხრიდან მექანიზმის გამოყენების შეზღუდული პრაქტიკა ერთმანეთის გამაძლიერებელ ფაქტორებად მოქმედებდა. ერთი მხრივ, მკაცრად ფორმალისტურმა მიდგომამ შესაძლოა გაზარდა წარდგინებით მიმართვისას შეცდომის დაშვების რისკი და შეამცირა მოსამართლეთა მოტივაცია, გამოეყენებინათ მექანიზმი; მეორე მხრივ, თავად მექანიზმის იშვიათმა გამოყენებამ შესაძლოა ხელი შეუშალა საერთო სასამართლოებში მისი გამოყენების პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებას. თუმცა ეს არგუმენტი ლოგიკურად რამდენად დასაშვებიც უნდა იყოს, მას მაინც უჭირს საერთო სასამართლოების სრული „დუმილის" ახსნა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამართლებრივი თუ პროცედურული ფაქტორების მიღმა სხვა შესაძლო გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, მათ შორის, პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოს, როგორც შესაძლო კონტექსტური ფაქტორის, გათვალისწინება.

ამიტომ, უმჯობესია 2004-2013 წლების „დუმილი" ამ ეტაპზე განვიხილოთ კვლევითი ჰიპოთეზის საფუძვლად და არა - დადგენილი მიზეზშედეგობრიობის დამადასტურებელ ფაქტად. ამ საკითხის უკეთ შესწავლას შეიძლება ხელი შეუწყოს ინტერვიუებმა იმ პერიოდის მოსამართლეებთან, სასამართლოს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ან სხვა პრაქტიკოსებთან, ასევე იმდროინდელი სასამართლო პრაქტიკისა და ინსტიტუციური დოკუმენტების დამატებითმა ანალიზმა.

2.4. 2014 წელს წარდგინების ინსტიტუტის ხელახალი გააქტიურება და 2015 წლის პრაქტიკული შემობრუნება

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო გარდამავალ პერიოდად შეიძლება 2014 წელი განვიხილოთ. 2004-2013 წლების ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, სწორედ 2014 წელს კვლავ ჩნდება კონსტიტუციური წარდგინება. ამ გააქტიურების ერთ-ერთ შესაძლო კონტექსტურ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ იმ პერიოდის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და მისი აღქმა უფლებათა დაცვის ეფექტიან მექანიზმად.[34] შესაძლებელია, ამ გარემოებას გავლენა ჰქონოდა საერთო სასამართლოების მხრიდან წარდგინების მექანიზმის გამოყენებისადმი

[34] დ. ზედელაშვილი, თ. ქეცბაია და ა. მანგოშვილი, „საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა".

ნდობასა და მოტივაციაზეც, თუმცა არსებული მონაცემები ასეთი პირდაპირი კავშირის დადგენის საშუალებას არ იძლევა. ამავე დროს, მონაცემები მიუთითებს, რომ ეს გააქტიურება თავიდანვე ერთი სასამართლოს მოსამართლეთა მცირე ჯგუფს უკავშირდებოდა: 2014 წლის აპრილიდან 2015 წლის ნოემბრამდე შეტანილი 9 წარდგინებიდან, 6 წარდგინების ავტორი უზენაესი სასამართლო იყო.

თავის მხრივ, საერთო სასამართლოების გააქტიურებას თან ახლდა, საკონსტიტუციო სასამართლოს შედარებით ღია მიდგომა. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების პრაქტიკაში მნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება განვიხილოთ 2015 წელი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ წარდგინების ინსტიტუტის ბუნებასა და დანიშნულებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა.[35] საკონსტიტუციო სასამართლომ კვლავ დაადასტურა, რომ საერთო სასამართლოს მართლაც მოეთხოვება სათანადო დასაბუთების წარდგენა (რაც მნიშვნელოვანია როგორც მექანიზმის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, ისე მართლმსაჯულების გაუმართლებელი გაჭიანურების რისკის შესამცირებლად), თუმცა, ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა გაჯიუტდეს და წარდგინება ფორმალური მიზეზით არ უნდა უარყოს, როდესაც ავტორის მიერ კონკრეტული კონსტიტუციური ნორმის არასწორად მითითების მიუხედავად, წარდგინებიდან ნათლად იკვეთება არსებითი კონსტიტუციური პრობლემა.

ამ მიდგომის ცენტრალური არგუმენტი იყო ის, რომ საერთო სასამართლოს წარდგინება ემსახურება არა მისი ავტორის კერძო ინტერესს, არამედ სამართლებრივ სახელმწიფოში კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვის ობიექტურ ინტერესს. შესაბამისად, ფორმალისტური მიდგომის შემთხვევაში „გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობა კვლავ ეჭვქვეშ დარჩება“, ხოლო არასწორად მითითებული ნორმის გამო წარდგინების უარყოფამ შესაძლოა თავად ინსტიტუტი არსებითად არაეფექტური გახადოს. ეს რისკი ვრცელდება არა მხოლოდ კონკრეტულ საქმეზე, არამედ ყველა სამართალწარმოებაზე, რომელთა ფარგლებშიც იმავე ნორმის გამოყენების საჭიროება წარმოიშობა.

ამ მიდგომამ გარკვეულწილად გადააფასა საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ურთიერთობის ფუნქციური გაგებაც. ერთი მხრივ, მკაფიოდ გამოიკვეთა სასამართლოთა კომპეტენციებს შორის საზღვრები; მეორე მხრივ, გაჩნდა

[35] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608, 609 გადაწყვეტილება

თანამშრომლობის სივრცე, რომლის ფარგლებში საერთო სასამართლოს წარდგინება კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად იქცა.

ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობის მიუხედავად, ფრთხილად უნდა შეფასდეს, აისახა, თუ-არა ის შემდგომ პერიოდში წარდგინებების რაოდენობის მკვეთრ ზრდაზე. ამასთან, შეუიარაღებელი თვალითაც მარტივი დასანახია, რომ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განაპირობა ერთი კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის გარშემო წარმოშობილმა საქმეებმა. იგულისხმება საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,[36] რომლითაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა მარიხუანას პირადი მოხმარების მიზნით (იმ კონკრეტულ საქმეში 70 გრამამდე მარიხუანა) შეძენა-შენახვის გამო. გადაწყვეტილებას არ მოჰყოლია შესაბამისი, დროული, საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სრულყოფილად ასახავდა კანონმდებლობაში იმ მოტივაციას, რომელიც ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო. ამიტომ საერთო სასამართლოებმა მსგავს საქმეებზე წარმოშობილი ჩიხიდან გამოსვლა სწორედ წარდგინების ინსტიტუტით სცადეს. შესაბამისად, ამ პრაქტიკამ წარმოშვა წარდგინებების მეტწილად ერთგვაროვანი, თუმცა რაოდენობრივად მნიშვნელოვანი ნაკადი. ამ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში სულ 45 კონსტიტუციური წარდგინება დარეგისტრირდა (მათ შორის, მხოლოდ 2016 წელს - 38 წარდგინება, რაც ამავე წელს შემოსულ წარდგინებათა 86%-ს შეადგენდა).

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ დატვირთვას უმთავრესად ერთგვაროვანი საქმეების გაერთიანებითა და წარდგინებების განხილვის სხვადასხვა ფორმით დასრულებით უპასუხა: ზოგ შემთხვევაში სადავო არსებითი განხილვის გარეშე გამოცხადდა ძალადაკარგულად, ნაწილზე კი, განხილვის მომენტისთვის სადავო ნორმის ძალადაკარგულობის გამო, წარმოება შეწყდა. შედარებით იშვიათად, სასამართლომ არსებითი სხდომა გამართა და წარდგინება დააკმაყოფილა.

ამ თვალსაზრისით, რიცხვობრივი ზრდა ავტომატურად არ უნდა გაიგივდეს ინსტიტუტის რეალურ, შინაარსობრივ გააქტიურებასთან. თუმცა ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ რაოდენობრივი ზრდის უკან ნაწილობრივ იდგა ინსტიტუციური ცვლილება, კერძოდ, საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის უფრო ფუნქციური

[36] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1043

ურთიერთობის ჩამოყალიბება, რასაც ბიძგი საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებამ, მათ შორის, იმ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულმა შედარებით ღია პრაქტიკამ მისცა. მნიშვნელოვანია სწორედ ამ ორი გარემოების გამიჯვნა: ერთია, რატომ გაიზარდა კონკრეტულ პერიოდში წარდგინებების რაოდენობა, ხოლო მეორე - რატომ გახდა ამ პერიოდში თავად მექანიზმის გამოყენება უფრო მისაღები ან შესაძლებელი საერთო სასამართლოებისთვის.

2.5. 2017-2018 წლები: ინსტიტუტის კონსტიტუციურ დონეზე განმტკიცება და დასაბუთების სტანდარტი

2017 წლის კონსტიტუციურმა ცვლილებამ, ერთი მხრივ, ეს ინსტიტუტი კონსტიტუციურ დონეზე გაამყარა, ხოლო, მეორე მხრივ, შეცვალა იმ სტანდარტის ფორმულირება, რომლითაც საერთო სასამართლომ წარდგინებით მიმართვისას უნდა იხელმძღვანელოს: 2017 წლამდე მოქმედი „საკმარისი საფუძვლის“ სტანდარტი „საფუძვლიანი ვარაუდის“ სტანდარტმა ჩაანაცვლა.

თუმცა კონსტიტუციით განმტკიცებული სტანდარტი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში აისახა, მაგრამ არა - „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, რომელიც კვლავ „საკმარის საფუძველზე“ მიუთითებს.[37] ეს ცვლილება თავისთავად არ გვაძლევს საფუძველს, ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ, რომ 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებით, საერთო სასამართლოსთვის მიმართვის უფრო მაღალი ან განსხვავებული მტკიცების სტანდარტი დამკვიდრდა - ჩვენთვის ხელმისაწვდომი პრაქტიკით, საკონსტიტუციო სასამართლოს პირდაპირ არ უმსჯელია, თუ რა იგულისხმება თითოეულ ამ ცნებაში[38] და შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური განმარტება იმაზე, თუ რა კონკრეტული განსხვავებაა მათ შორის მტკიცების ტვირთის თვალსაზრისით, არ არსებობს. ამდენად, საკითხი ამ ეტაპზე უფრო ინსტიტუტის

[37] საქართველოს კონსტიტუციასთან შინაარსობრივ აცდენას ავლენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც უზენაესი სასამართლოს პლენუმს ანიჭებს უფლებამოსილებას, კონკრეტული საქმის განხილვასა თუ სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით, წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს (კონსტიტუციის 89-ე მუხლზე მითითებით). გარდა იმისა, რომ კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში 89-ე მუხლი აღარ არსებობს, პლენუმი ინსტიტუციურად ვერ აკმაყოფილებს წარდგინების სუბიექტის კრიტერიუმებს, ვინაიდან მის კომპეტენციაში არ შედის კონკრეტული საქმეების განხილვა. კონსტიტუციური წესრიგის მიხედვით კი, საერთო სასამართლოს მიერ წარდგინების შეტანა უკავშირდება უშუალოდ კონკრეტული დავის განხილვას და არა - სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საჭიროებას. იხ. ჯ. ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2002, გვ. 59-60.

[38] „საერთო სასამართლოების წარდგინებათა განხილვისას, მოსამართლის საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტი საკონსტიტუციო სასამართლოს ეჭვქვეშ არც ერთხელ არ დაუყენებია“. დავითური.. გვ. 50. https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2021/06/28.-saertho-sasamarthlos-konstitutsiuri-tsardginebis-instrumentis-gamoqhenebis-praqtikuli-sa.pdf

ნორმატიულად ბოლომდე დაუზუსტებელ ასპექტს წარმოადგენს, ვიდრე დადგენილ არსებით განსხვავებას.

არაერთგვაროვანი ჩანაწერის მიუხედავად, სტაბილურია სასამართლოს მიდგომა. პრაქტიკიდან (მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის დანაწესიდან[39]), იკვეთება ერთი მკაფიო მოთხოვნა: საერთო სასამართლოს კონსტიტუციური ეჭვი სათანადოდ უნდა დასაბუთდეს - არა მხოლოდ იმის მითითებით, რომ ეჭვი არსებობს, არამედ არგუმენტებით, თუ რატომ არის სადავო ნორმა რელევანტური კონკრეტული საქმისთვის[40] და რატომ წარმოშობს მისი გამოყენება კონსტიტუციურ პრობლემას.[41] ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ყურადღება ექცევა იმასაც, წარდგინება მხოლოდ საქმის მხარის შუამდგომლობის გამეორება ან გადამისამართებაა, თუ თავად სასამართლოს დამოუკიდებელ დასაბუთებას წარმოადგენს. თუნდაც სასამართლო სრულად იზიარებდეს მხარის პოზიციას, წარდგინებაში უნდა იკვეთებოდეს თავად სასამართლოს საფუძვლიანი ვარაუდი და ის არგუმენტაცია, რომლის საფუძველზეც სასამართლომ წარდგინებით მიმართვის აუცილებლობა დაადგინა.[42]

ვარაუდის დასაბუთების მოთხოვნას ორმაგი ფუნქცია აქვს. ერთი მხრივ, იგი ზღუდავს იმგვარი წარდგინების გამოყენებას, რომელშიც კონსტიტუციური პრობლემა სათანადოდ არ

[39] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 31[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური წარდგინება უნდა იყოს დასაბუთებული, ხელმოწერილი საქმის განმხილველი მოსამართლის ან კოლეგიური შემადგენლობის მიერ და შეიცავდეს მტკიცებულებებს მისი საფუძვლიანობის დასადასტურებლად, ამასთან, მასში შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტების მითითებაც.

[40] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/3/685, 686, 687, 688, 689, 736, 737, 758, 793, 794, 820 განჩინება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-10. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1074

[41] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 1 აპრილის N2/88/1 განჩინება საქმეზე „ქ. ჭიათურის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 26 იანვრის N13/270 განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=359; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=92; 1999 წლის 30 ნოემბრის N1/8/116 განჩინება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 10 ივლისის N9/189 განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის კრწანისი - მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=168;

[42] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 10 ივლისის N9/189 განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის კრწანისი - მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=168; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 26 იანვრის N13/270 განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=359.

არის იდენტიფიცირებული, მით უფრო, რომ წარდგინების შეტანას კონკრეტული საქმის განხილვის შეჩერება მოჰყვება. მეორე მხრივ, იგი იცავს თავად საკონსტიტუციო სასამართლოს რესურსს, რომელიც წარდგინებას კანონით პრიორიტეტულად განიხილავს.

თუმცა ეს მოთხოვნა არ უნდა გავიგოთ იმგვარად, თითქოს საერთო სასამართლოს მოეთხოვება საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი სრული კონსტიტუციური ანალიზის განხორციელება, რადგან ეს, ერთი მხრივ, გასცდებოდა საერთო სასამართლოს ინსტიტუციურ ფუნქციას და, მეორე მხრივ, შექმნიდა დამატებით საპროცესო და პროფესიულ ტვირთს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონკრეტული საქმის განხილვისას მოსამართლეს შეზღუდული აქვს დრო და სხვა რესურსი, დასაბუთების მაღალი სტანდარტი შესაძლოა თავად იქცეს წარდგინებით მიმართვის შემაფერხებელ ფაქტორად.

შესაბამისად, მართალია, უკვე ჩამოყალიბებულია მიდგომა დასაბუთების სტანდარტთან მიმართებით, თუმცა ტერმინოლოგიურ დონეზეც მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი მიდგომა, რათა თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი გაურკვევლობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საერთო სასამართლოს მხრიდან ამ მექანიზმის გამოყენებაზე, ან მისი ბოროტად გამოყენება გამოიწვიოს.

საინტერესოა, რომ მიმართვიანობის თვალსაზრისით, ამ ინსტიტუტის კონსტიტუციურად განმტკიცებას შესამჩნევი ზრდა არ მოჰყოლია: ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული წარდგინებების ტალღის დასრულების შემდეგ, 2018-2019 წლებში, მხოლოდ 2-2 წარდგინება დარეგისტრირდა. მომდევნო წლებში კი - უმნიშვნელო, თუმცა ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა (2020 წელს - 3, ხოლო 2021 წელს - 5 რეგისტრირებული წარდგინება).

2.6. 2022 წლის გადაწყვეტილება და საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი დაზუსტება

წარდგინების ინსტიტუტის პრაქტიკული განვითარების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება განვიხილოთ საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება.[43] საკითხი ეხებოდა შემთხვევას, როდესაც სადავო ნორმა, წარდგინების შემდეგ, საერთო სასამართლოში მიმდინარე დავისთვის რელევანტურობას კარგავდა, მათ შორის, საქმის სხვაგვარად გადაწყვეტის შედეგად, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის

[43] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13464

სამართალწარმოების გაგრძელებას, ვინაიდან საერთო სასამართლოს, წარდგინების შეტანის შემდეგ, არ აქვს უფლება, საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვის შეწყვეტა მოითხოვოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად ცნეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა შეჩერებული საქმის გაგრძელების შესაძლებლობას სადავო ნორმის რელევანტურობის დაკარგვის შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ის ერთადერთი წარდგინებაა, რომელიც თავად წარდგინების ინსტიტუტს ეხებოდა. შესაბამისად, ხარვეზი ამ მექანიზმით მოსარგებლე სასამართლომ გამოავლინა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ საერთო სასამართლოს მიერ გამოთქმული კონსტიტუციური ეჭვი 225 დღეში გაიზიარა.

ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ინსტიტუტის ფუნქციონირების შეფასება მხოლოდ მისი შექმნისა და შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების ქრონოლოგიით შეუძლებელია. მისი ძირითადი კონსტრუქცია 1990-იანი წლების ბოლოდან შედარებით სტაბილური დარჩა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ დროთა განმავლობაში გავლენა მოახდინა მის ფუნქციურ გაგებაზე და ცალკეულ პრაქტიკულ საკითხებთან მიმართებით დამატებითი წესები ჩამოაყალიბა. თუმცა ეს პროცესი თანდათანობითი და წერტილოვანია: 2022 წლის გადაწყვეტილებამ ერთი კონკრეტული პროცედურული ხარვეზი აღმოფხვრა, ხოლო სხვა ბუნდოვანება (მათ შორის, სტანდარტის ტერმინოლოგიური არაერთგვაროვნება და საპროცესო ფორმულირებები) ღიად დარჩა.

2.7. წარდგინებების საფუძველზე მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და საერთო სასამართლოების აქტიურობა

2022 წლის გადაწყვეტილებასთან ერთად, სურათის სრულად დასანახავად, მნიშვნელოვანია ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც მიღებულია წარდგინებების საფუძველზე. პრაქტიკა მხოლოდ განმეორებადი საქმეებითა და უარით არ შემოიფარგლება. როგორც ცხრილი 1-დან ირკვევა, საერთო სასამართლოების წარდგინებებიდან, 20 წარდგინება სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ეს გადაწყვეტილებები (14 აქტად),[44] პირობითად, ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველი ჯგუფი 2014-2016 წლებს ეკუთვნის, ამ ინსტიტუტის ხელახალი გააქტიურების პირველივე ტალღას: 2014 წლის აპრილიდან 2015 წლის ოქტომბრამდე შემოსული ცხრა წარდგინებიდან, ექვსი არსებით განხილვამდე მივიდა და ექვსივე სრულად

[44] საკონსტიტუციო სასამართლო ერთგვაროვან წარდგინებებს ხშირად ერთ წარმოებად აერთიანებს. შესაბამისად, წარდგინებების რაოდენობა და საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების რაოდენობა ერთმანეთისგან განსხვავდება.

ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ხუთი მათგანი უზენაესი სასამართლოს წარდგინება იყო და სისხლის სამართლის პროცესს ეხებოდა. მეორე მსხვილი ჯგუფი 2021-2022 წლებს ეკუთვნის: 2021 წლის 28 დეკემბრიდან 2022 წლის 24 ივნისამდე, დაახლოებით ექვს თვეში, გამოვიდა ხუთი გადაწყვეტილება, რომლებიც, თავის მხრივ, რვა წარდგინებას მოიცავდა და ყველა სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

ცხრილი 1. დაკმაყოფილებული და ნაწილობრივ დაკმაყოფილებული წარდგინებები (20 წარდგინება, 14 აქტი)

თარიღი	აქტი	წარდგინებები	წარმდგენი სასამართლო	სადავო ნორმა	შედეგი
21.07.1997	№1/51	51	თბილისის ჩუღურეთის რ/ს	სსკ 23 და 96	დაკმაყოფილდა
24.12.2014	№3/3/601	601	უზენაესი სასამართლო	სსსკ (1998) 546, 518(1)	დაკმაყოფილდა
29.09.2015	№3/1/608, 609	608, 609	უზენაესი სასამართლო	სსსკ (1998) 306(4), 297 („ზ“)	დაკმაყოფილდა
13.04.2016	№3/1/633, 634	633, 634	უზენაესი სასამართლო	სსსკ (1998) 269(5) („გ“), 306(4)	დაკმაყოფილდა; ნაწილობრივ
29.09.2016	№3/4/641	641	ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	აჭარის ა/რ კანონი ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ, მუხ. 19(3)	დაკმაყოფილდა
28.12.2021	№3/2/1478	1478	თეთრიწყაროს რ/ს	სსსკ 3(20), 25(2), 48	ნაწილობრივ
21.04.2022	№3/1/1239,1642,1674	1239, 1642, 1674	ბოლნისის რ/ს	სსკ 262(1) (მარიხუანის შემოტანა)	დაკმაყოფილდა
21.04.2022	№3/3/1387	1387	თბილისის საქალაქო სასამართლო	სსკ 260(3)	დაკმაყოფილდა
21.04.2022	№3/4/1648	1648	თეთრიწყაროს რ/ს	სსსკ 167(4); ორგანული კანონები (წარდგინების წესი)	დაკმაყოფილდა
24.06.2022	№3/5/1341,1660	1341, 1660	თეთრიწყაროს რ/ს	სსსკ 200(6) („საპატიმრო გირაო“)	დაკმაყოფილდა
12.07.2024	№3/4/1543	1543	თელავის რ/ს	სსკ 34(3); სსსკ 191(3)	ნაწილობრივ
07.03.2025	№3/2/1520	1520	თბილისის საქალაქო სასამართლო	ასპკ 216^3–216^5; საგადასახადო კოდ. 246(3)	ნაწილობრივ
24.06.2025	№3/6/1846	1846	თეთრიწყაროს რ/ს	სსსკ 144(3)	დაკმაყოფილდა
25.07.2025	№3/9/1818,1861	1818, 1861	ზესტაფონის რ/ს; თბილისის სააპ.	სსკ 44(4)	დაკმაყოფილდა

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ გადაწყვეტილებების უკან დგას არა მხოლოდ ერთი სასამართლოს, არამედ ქვედა ინსტანციის სასამართლოების აქტიურობა. მათ შორის შესამჩნევად დომინირებს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო (ორი მოსამართლე - ბადრი ნიპარიშვილი და ვლადიმერ ხუჭუა), რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთგვაროვანი წარდგინებებით და საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ახალ კონსტიტუციურ საკითხებს აყენებს.

ამრიგად, მონაცემები აჩვენებს, რომ საერთო სასამართლოების აქტიურობა მხოლოდ წარდგინებების რაოდენობით არ გამოიხატება და სხვადასხვა სასამართლოსა (თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს დომინანტობით) და სამართლებრივ საკითხს მოიცავს. ამ აქტიურობის შესაფასებლად კი საჭიროა, დავაკვირდეთ, როგორ პასუხობს მას საკონსტიტუციო სასამართლო. ამას შემდეგ ქვეთავებში განვიხილავთ.

2.8. 2022-2026: წარდგინებების ბოლო ტალღა - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებებთან დაკავშირებით

2022 წლის შემდგომ პერიოდში ინსტიტუტის გამოყენება კვლავ რამდენიმე სუბიექტის ხელშია. 2025 წელს 10 წარდგინება შევიდა - ყველაზე მეტი 2016 წლის შემდეგ; 2025-2026 წლების 16 წარდგინებიდან, 12 თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ წარადგინა, მათგან 9 ერთი საკითხის - ნარკოტიკულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნორმების - გარშემოა. ამრიგად, 2016 წლის მოდელი - ერთი სასამართლო და ერთი საკითხი - შედარებით მცირე მასშტაბით მეორდება. ამავე სასამართლოს 2018-2024 წლების ხუთივე წარდგინება დაკმაყოფილდა (ოთხი სრულად, ერთი ნაწილობრივ), 2025-2026 წლებში წარდგენილი 12-დან კი - არც ერთი: ექვსი მათგანი არ დაკმაყოფილდა 2026 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით, დანარჩენ ექვსს კი დასაშვებობის ეტაპზე უარი ეთქვა (სამს იმის გამო, რომ ნორმა კონკრეტულ საქმეზე გამოსაყენებელი არ იყო, ორს - რადგან იგივე საკითხი უკვე შეფასებული იყო, ერთს - არასაკმარისი არგუმენტაციის გამო).

ამასთან, 2025–2026 წლების წარდგინებები განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩევა, ისინი თითქმის სრულად (სამის გამოკლებით) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ეხება. მეტიც, 110 წარდგინებიდან, ამ საკითხებთან დაკავშირებით სულ 14 წარდგინება ფიქსირდება, საიდანაც ერთი (№684) 2015 წელს დარეგისტრირდა (თუმცა მასზე გადაწყვეტილება 3 542 დღის შემდეგ, 2025 წლის 25 ივლისს გამოვიდა), დანარჩენი 13 კი 2025 წლის 7 ნოემბრიდან 2026 წლის 1-ელ ოქტომბრამდე პერიოდში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან დაკავშირებული წარდგინებები (14)

ჯგუფი	წარდგინებები (№)	რაოდ.	წარმდგენი	კონსტიტუციის დებულება	შედეგი
ნარკოტიკული სამართალდარღვევების სანქციები (ასკ 45, 45[1]; კანონის მუხ. 3, პ. 1[1])	1914, 1920, 1921, 1922, 1928, 1938, 1939, 1953, 1954	9	თეთრიწყაროს რ/ს	მუხ. 9(2)	6 - არ დაკმაყოფილდა (№ 1914, 1920, 1921, 1922, 1928, 1938); 3 - უარი (№1939, 1953, 1954)
ჯარიმის გადაუხდელობისას პატიმრობა (ასკ 197[1] მუხ. 2; 166 და 173 - შენიშვნა 4)	684; 1923, 1929, 1931	4	რუსთავის ს/ს; თეთრიწყაროს რ/ს	მუხ. 11(1) (ადრე - მუხ. 14); მუხ. 9(2), 11(1), 13(1)	№684 - არ დაკმაყოფილდა (25.07.25); №1923, 1929, 1931 - უარი, ნორმა გამოსაყენებელი არ არის
საჯარო პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა (ასკ 173[16])	1977	1	ქუთაისის ს/ს	მუხ. 17(1), 17(5)	განხილვა მიმდინარეობს
სულ		**14**			

წარდგინებების შინაარსს თუ დავაკვირდებით, სამი განსხვავებული საკითხი იკვეთება. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლეები (9 წარდგინება) სვამენ კითხვას, შეიძლება, თუ - არა ნარკოტიკული სამართალდარღვევისთვის მართვის, საჯარო სამსახურის, პედაგოგიური საქმიანობისა და იარაღის უფლებების ავტომატური (ინდივიდუალიზაციის გარეშე) ჩამორთმევა ისე, რომ მოსამართლეს სანქციის მოქნილობის შესაძლებლობა არ ჰქონდეს. საკონსტიტუციო სასამართლომ 2026 წლის 26 მარტს ექვს წარდგინებაზე ნორმა არაკონსტიტუციურად არ ცნო, დანარჩენ სამს კი არსებითად განხილვაზე უარი უთხრა.

მეორე საკითხი ჯარიმის გადაუხდელობის გამო პატიმრობაა - ის ათწლიანი ინტერვალით ორჯერ გახდა წარდგინების საგანი. 2015 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლომ (№684) იკითხა, შეიძლება, თუ - არა 1000-ლარიანი ჯარიმის შვიდ დღეში გადაუხდელობა 15-დღიანი პატიმრობით დასრულდეს (ასკ 197[1]); 2025 წელს თეთრიწყაროს სასამართლომ იმავე ლოგიკას დაუქვემდებარა 166-ე და 173-ე მუხლების შენიშვნები (№1923, 1929, 1931), რომლებიც განმეორებითი სამართალდარღვევისას ჯარიმას პატიმრობით ანაცვლებს. პირველ შემთხვევაში საქმე არსებითად განიხილეს, მეორეში - უარი ითქვა იმ მოტივით, რომ ნორმა კონკრეტულ საქმეზე გამოსაყენებელი არ იყო.

მესამე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს №1977 წარდგინება, რომელიც ეხება აზრის გამოხატვის თავისუფლებას: სადავოა ასკ-ის 173[16] მუხლი, რომელიც საჯარო პირების შეურაცხყოფას ჯარიმით ან პატიმრობით სჯის და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობას გამორიცხავს. სასამართლო მე-17 მუხლის ფარგლებში სვამს კითხვას, რატომ არის საჭირო სპეციალური, უფრო მკაცრი რეჟიმი, როცა მსგავს ქცევას უკვე 166-ე მუხლი მოიცავს. ეს წარდგინება ამ დროისთვის ყველაზე ბოლო წარდგინებად ითვლება, შესაბამისად, მასზე პასუხი ახლო მომავალში ნაკლებ მოსალოდნელია, თუმცა - მნიშვნელოვანი. კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ საერთო სასამართლოებს ბოლო პერიოდში ამ მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება ხშირად უწევთ, ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს სწრაფი რეაგირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ კონკრეტული, არამედ ათეულობით საქმის სწორად გადასაწყვეტად.

3. წარდგინების პრაქტიკა რიცხვებში (1997-2026)

წინა თავში განხილულია წარდგინების ინსტიტუტის განვითარების ქრონოლოგია: როგორ ჩამოყალიბდა მისი სამართლებრივი ჩარჩო, როგორ იცვლებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა და რა ეტაპებად იყოფა გამოყენების პრაქტიკა. ანალიზზე დაყრდნობით, გამოიკვეთა ძირითადი სურათი: ადრეული წლების ფორმალიზმი, ათწლიანი პაუზა, 2016-2017 წლებში, ძირითადად, ერთი საკითხის ირგვლივ კონცენტრირებული წარდგინებების ტალღა და ბოლო წლებში ინსტიტუტის გამოყენების ხელახალი გააქტიურება.

ამ თავის მიზანია წინა თავში გამოვლენილი ტენდენციების რაოდენობრივი ანალიზი და მათი სისტემატიზაცია. კერძოდ, გაანალიზებულია წარდგინებების განაწილება დროის, სასამართლოებისა და განსახილველი საკითხების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს რეაგირების ფრომები და წარდგინებათა განხილვის ხანგრძლივობა. ამ გზით შესაძლებელია შემოწმდეს, რამდენად მყარია ქრონოლოგიური ანალიზისას გაკეთებული დაკვირვებები. 2025-2026 წლების შინაარსი და ცალკეული გადაწყვეტილებები წინა თავშია განხილული, აქ კი ისინი წარმოდგენილია სისტემური სურათის ნაწილად.

3.1. მონაცემები და მეთოდი

ანალიზი ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.constcourt.ge) ხელმისაწვდომ 110 წარდგინებას, რომლებიც დარეგისტრირებულია 1997 წლის 5 მაისიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში. თითოეული წარდგინებისთვის შესწავლილია რეგისტრაციის თარიღი, წარმდგენი სასამართლო, სადავო ნორმა, საკონსტიტუციო

სასამართლოს საბოლოო აქტი და მისი შედეგი, ასევე რეგისტრაციიდან პირველ და საბოლოო აქტამდე გასული დრო. სრული მონაცემები წარმოდგენილია დანართ 1-ში.

გამომდინარე იქიდან, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ერთგვაროვან წარდგინებებს ხშირად ერთ წარმოებად აერთიანებს, წარდგინებების რაოდენობა და საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების რაოდენობა ერთმანეთისგან განსხვავდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პერიოდების შეფასებისას, როდესაც ერთი სამართლებრივი საკითხის გარშემო მრავალი მსგავსი წარდგინება დაგროვდა. შედეგების აღწერისთვის წარდგინებები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დასრულებული წარდგინებები (დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა) და ისეთები, რომლებზეც სასამართლომ არსებითად არ იმსჯელა და სამართალწარმოება განჩინებით დაასრულა (ამ განჩინებების სახეები 3.5-შია აღწერილი); ცალკე უნდა გამოიყოს მიმდინარე წარდგინებები.

ამ მონაცემებს მნიშვნელოვანი შეზღუდვაც აქვს. სტატისტიკა აჩვენებს მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომლებზეც საერთო სასამართლომ საბოლოოდ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. შესაბამისად, იგი ვერ გვიჩვენებს, რამდენ შემთხვევაში არსებობდა მოსამართლის კონსტიტუციური ეჭვი, მაგრამ წარდგინება სასამართლოში არ წარდგენილა (მათ შორის, იმ შემთხვევებშიც, რომლებზეც სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა წარდგინებაზე). ამდენად, ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები აღწერს არა კონსტიტუციური წარდგინების პოტენციურ საჭიროებას, არამედ მის ფაქტობრივ გამოყენებას.

შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი ტენდენციები, პირველ რიგში, აღწერით ხასიათს ატარებს, ხოლო მათი შესაძლო ახსნა მე-2 თავში განხილულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ ფაქტორებს მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე უკავშირდება. ოთხ წარდგინებას (№51, 90, 99, 796) რეგისტრაციის თარიღი არ აქვს და ისინი ვადების ანალიზში არ შედის; ხოლო ოთხი წარდგინება (№1587, 1919, 1950, 1977), 2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, განუხილველია.[45]


[45]№51, №90, №99 დ №796 წარდგინებებისთვის რეგისტრაციის თარიღი საკონსტიტუციო სასამართლოს ბაზაში მითითებული არ არის. რიგითობის მიხედვით, №51 თავსდება №49-სა (1997 წლის 5 მაისი) და №57-ს (1997 წლის 29 ივნისი) შორის, ხოლო №796 - №794-სა (2016 წლის 18 ივლისი) და №797-ს (2016 წლის 19 ივლისი) შორის, რის გამოც მათი წელი (შესაბამისად, 1997 და 2016) ცალსახად დგინდება. №90 და №99 თავსდება №88-სა (1998 წლის 4 აგვისტო) და №100-ს (1999 წლის 8 იანვარი) შორის, ამიტომ მათი წარდგინების წელი რიგითობით ცალსახად ვერ დგინდება. ამ ორი წარდგინების წელი განისაზღვრება ბაზაში არსებული პირველი დათარიღებული აქტის მიხედვით - 1998 (№90) და 1999 (№99).

3.2. დროითი დინამიკა: ტალღები და პაუზები

წარდგინებების რაოდენობის განაწილება წლების მიხედვით (დიაგრამა 1) აჩვენებს, რომ ინსტიტუტის გამოყენება არც თანაბარი ყოფილა და არც თანდათანობით მზარდი. პირიქით, თითქმის მთელი პერიოდის განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლება ცალკეული აქტიურობის პერიოდები და ხანგრძლივი პაუზები.

1997-2004 წლებში 16 წარდგინება დარეგისტრირდა. ამის შემდეგ, 2004 წლის იანვრიდან 2014 წლის აპრილამდე, ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, არცერთი წარდგინება არ დარეგისტრირებულა. 2014-2016 წლებში ვითარება მკვეთრად იცვლება - მხოლოდ ამ სამ წელიწადში 59 წარდგინება ფიქსირდება, მათ შორის, 2016 წელს - 44. შემდგომ წლებში მიმართვიანობა კვლავ მნიშვნელოვნად მცირდება: 2017-2024 წლებში სულ 19 წარდგინება დარეგისტრირდა, ხოლო 2025-2026 წლებში კვლავ ზრდა შეინიშნება - 2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ამ ორ წელზე 16 წარდგინება მოდის.

დიაგრამა 1. წარდგინებების რაოდენობა წლების მიხედვით (1997-2026 წლის 1 ოქტომბრამდე)



ამგვარი დინამიკა უფრო ტალღების მონაცვლეობას ჰგავს, ვიდრე ინსტიტუტის თანდათანობით განვითარებას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა 2016 წლის შემთხვევა: 44 წარდგინება, ანუ წარდგინებათა სრული რაოდენობის დაახლოებით 40%, ერთ კალენდარულ წელზე მოდის. ამიტომ ამ წლის მაჩვენებელი ცალკე საკითხის ან სამართლებრივი პრობლემის მასშტაბურ გავრცელებას უფრო გვიჩვენებს, ვიდრე საერთო სასამართლოების მიერ მექანიზმის ზოგადად და თანაბრად გააქტიურებას (იხ. ქვეთავი 2.4).

იგივე შეიძლება ითქვას 2025-2026 წლების ზრდაზეც. რაოდენობრივი მაჩვენებლის მატება თავისთავად საინტერესოა, თუმცა იმის დასადგენად, წარმოადგენს, თუ - არა იგი ინსტიტუტის უფრო ფართო გამოყენების ნიშანს, უნდა ვნახოთ, ვინ მიმართავს სასამართლოს და რომელ საკითხებზე წარმოიშობა წარდგინებები.

სწორედ ამიტომ, არასაკმარისია ინსტიტუტის აქტიურობაზე მსჯელობა მხოლოდ წლიური რაოდენობის მიხედვით. მნიშვნელოვანია დავინახოთ, რა დგას თითოეული ასეთი „ტალღის“ უკან.

3.3. ვინ მიმართავს: წარმდგენი სასამართლოები

წარდგინებების განაწილება წარმდგენი სასამართლოების მიხედვით კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას აჩვენებს - ინსტიტუტის გამოყენება საერთო სასამართლოებში თანაბრად არ არის განაწილებული.


110 წარდგინებიდან, 58 უზენაესმა სასამართლომ შეიტანა, ხოლო 17 - თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ. ამ ორ სასამართლოზე წარდგინებების საერთო რაოდენობის დაახლოებით 68% მოდის, ხოლო დანარჩენ სასამართლოებზე 35 წარდგინება ნაწილდება (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. წარდგინებები წარმდგენი სასამართლოს მიხედვით

სასამართლო	წარდგინება	წილი (%)
უზენაესი სასამართლო	58	52.7
თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო	17	15.5
თბილისის საქალაქო და რაიონული სასამართლოები	12	10.9
თბილისის სააპელაციო სასამართლო	5	4.5
ბოლნისის რაიონული სასამართლო	4	3.6
რუსთავის საქალაქო სასამართლო	3	2.7
სხვა 8 სასამართლო (თითოეული 1-2)	11	10.0
სულ	**110**	**100.0**

ეს მონაცემი განსაკუთრებით საინტერესოა დროით ჭრილში. უზენაესი სასამართლოს აქტიურობა ძირითადად უკავშირდება 2014-2017 წლების პერიოდს, როდესაც მისი წარდგინებები საერთო რაოდენობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. 2017 წლის შემდეგ კი სურათი იცვლება და ბოლო პერიოდის ზრდაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წვლილი (იხ. სურათი 2, ქვეთავი 2.7-2.8).

დიაგრამა 2. წარდგინებები პერიოდებისა და წარმდგენი სასამართლოს მიხედვით



შესაბამისად, დღეს არსებული რაოდენობრივი სურათი არ გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმი საერთო სასამართლოებში ფართოდ და თანაბრად გამოიყენება. პირიქით, მიმართვიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი რამდენიმე სასამართლოსა და კონკრეტულ პერიოდზეა კონცენტრირებული.

მსგავსი სურათი ჩანს ავტორების დონეზეც. იმ წარდგინებებიდან, რომლებზეც ავტორები მითითებულია, მნიშვნელოვანი ნაწილი უზენაესი სასამართლოსა და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონკრეტულ მოსამართლეებსა და კოლეგიურ შემადგენლობებზე მოდის. ეს, თავისთავად, არ ნიშნავს, რომ ინსტიტუტი მხოლოდ რამდენიმე მოსამართლის ინიციატივაზეა დამოკიდებული, თუმცა აჩენს კითხვას, რამდენად არის წარდგინების გამოყენების პრაქტიკა საერთო სასამართლოებში ინსტიტუციურად გავრცელებული და რამდენად არის იგი კონკრეტული მოსამართლეების პროფესიულ მიდგომასა და გამოცდილებაზე დამოკიდებული. ამ კითხვაზე პასუხს არსებული მონაცემები ვერ იძლევა. ამის დასადგენად საჭიროა თვისებრივი კვლევა, მათ შორის, მოსამართლეებთან ინტერვიუები.

3.4. რას ასაჩივრებენ: სფეროები და განმეორებადი საკითხები

წარდგინებების შინაარსობრივი ანალიზი კიდევ უფრო მკაფიოდ აჩვენებს, რომ რაოდენობრივი ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებს უკავშირდება.

110 წარდგინებიდან, 46 ეხება სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებულ ნორმებს, 25 - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, ხოლო 14 - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს. დამატებით, 6 წარდგინება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ნორმებს ეხება. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროზე, ჯამში, 91 წარდგინება მოდის (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4. წარდგინებები სადავო ნორმის სფეროს მიხედვით

სფერო	წარდგინება	წილი (%)
სისხლის სამართლის კოდექსი - ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული ნორმები	46	41.8
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი	25	22.7
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	14	12.7
სისხლის სამართლის კოდექსი - სხვა ნორმები	6	5.5
სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	2	1.8
ადმინისტრაციული საპროცესო და საგადასახადო კოდექსები	2	1.8
სხვა კანონები და აქტები (საკუთრება, საპენსიო, თვითმმართველობა და სხვ.)	15	13.6
სულ	**110**	**100.0**

ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა განსხვავება ადრეულ და შემდგომ პერიოდებს შორის. 1997-2004 წლებში დარეგისტრირებული 16 წარდგინებიდან, სისხლისსამართლებრივ საკითხებს მხოლოდ ოთხი ეხებოდა, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა საკითხს მოიცავდა: საპენსიო უზრუნველყოფას, საგადასახადო კანონმდებლობას, რეფერენდუმს, პრივატიზებას, პასპორტებსა და სხვა. 2014 წლის შემდეგ კი სურათი მკვეთრად იცვლება და წარდგინებების დიდი ნაწილი სწორედ სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ხუთი წარდგინება კანონქვემდებარე აქტს ეხებოდა (57, 90, 99, 116, 189), ყველა - 1997-2002 წლებში.[46]

კიდევ უფრო თვალსაჩინოა კონკრეტული საკითხების განმეორებადობა. მათ შორის, ყველაზე დიდი ჯგუფი მარიხუანასთან დაკავშირებულ წარდგინებებზე მოდის. შესაბამისად, 2016 წლის მაღალი მაჩვენებლის განხილვისას, მხოლოდ იმაზე მითითება, რომ ამ წელს 44 წარდგინება დარეგისტრირდა, სრულ სურათს არ გვაძლევს. ამ რაოდენობის მნიშვნელოვანი ნაწილი ერთი სამართლებრივი პრობლემის ირგვლივ წარმოქმნილი მრავალი მსგავსი წარდგინებით შეიქმნა.

აქედან გამომდინარე, რაოდენობრივი ზრდის შეფასებისას ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ორი საკითხი: რამდენად გაიზარდა საერთო სასამართლოების მიერ მექანიზმის გამოყენება და რამდენად გაიზარდა კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის გამო წარმოშობილი წარდგინებების რაოდენობა.

[46]№57 (შსს დირექტიული მითითება), №90 (შსს ბრძანება), №99 (მინისტრთა საბჭოს დადგენილება), №116 (კანონი და სამინისტროს დებულება), №189 (მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები და ინსტრუქციები).

3.5. საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხი: ფილტრი და კონსოლიდაცია

წარდგინებების რაოდენობა თავისთავად არ გვიჩვენებს, რამდენად წარმატებით აღწევს ეს მექანიზმი საკონსტიტუციო კონტროლის არსებითი განხილვის ეტაპამდე.


110 წარდგინებიდან 31, ანუ დაახლოებით 28%, არსებით განხილვამდე მივიდა. მათგან 20 სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, არსებით განხილვამდე მისული წარდგინებების უმრავლესობა - დაახლოებით 65%, ხოლო აქტების მიხედვით, დაახლოებით 70% - სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5. წარდგინებების შედეგები (110 წარდგინება)

შედეგი	წარდგინება	წილი (%)
დაკმაყოფილდა	16	14.5
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	4	3.6
არ დაკმაყოფილდა	11	10.0
უარი - არსებითად განსახილველად მიღების კრიტერიუმები არ დაკმაყოფილდა	24	21.8
შეწყდა - სასამართლომ ამ საკითხზე უკვე იმსჯელა	3	2.7
შეწყდა - ნორმა ძალადაკარგული იყო	37	33.6
დამძლევი ნორმის ძალადაკარგულად ცნობა განჩინებით (განმწესრიგებელ სხდომაზე)	11	10.0
განხილვა მიმდინარეობს	4	3.6
სულ	**110**	**100.0**

საინტერესოა, რომ შედეგები წარმდგენი სასამართლოს მიხედვითაც მკვეთრად განსხვავდება: უზენაესი სასამართლოს წარდგინებებიდან, არსებით განხილვამდე მცირე ნაწილი მივიდა, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოსგან განსხვავებით (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. შედეგების წილი წარმდგენი სასამართლოს მიხედვით



ეს მონაცემები თავისთავად არ ნიშნავს, რომ წარდგინებების დიდი ნაწილი „არაეფექტურია“. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინების გაერთიანება, წარმოების შეწყვეტა ან სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა უკავშირდება სწორედ იმ სამართლებრივი პრობლემის უკვე გადაწყვეტას, რომლის გამოც საერთო სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.

ამის კარგი მაგალითია 2016–2017 წლების ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული წარდგინებების ტალღა. ამ პერიოდში დარეგისტრირებული 40 მსგავსი წარდგინებიდან, დამოუკიდებლად არც ერთი არ გამხდარა არსებითი განხილვის საგანი. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლომ ერთობლივად განიხილა, ან წარმოება შეწყვიტა, მათ შორის, იმიტომ, რომ სადავო ნორმა უკვე ძალადაკარგული იყო. კერძოდ, ამ 40-დან განჩინებით შეწყდა 29, რადგან ნორმა ძალადაკარგულად ცნეს კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე, ხოლო 11 შემთხვევაში განჩინებით ძალადაკარგულად ცნეს „დამძლევი“ ნორმა.

ამავე დროს, ამ მონაცემების დანახვა სხვა პერსპექტივიდანაც შესაძლებელია. თუ წარდგინებათა უმრავლესობა არსებით განხილვამდე ვერ აღწევს, ეს შეიძლება მიუთითებდეს იმაზეც, რომ რაოდენობრივი აქტიურობა ყოველთვის ახალი კონსტიტუციური კითხვების წარმოშობას არ ასახავს. განსაკუთრებით დიდი ტალღების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გადაწყვეტილი ან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხების განმეორებით დასმას უკავშირდებოდა, ხოლო რიგ შემთხვევებში, სადავო ნორმა საბოლოო შინაარსობრივ პასუხამდე უკვე ძალადაკარგული იყო. ასეთ ვითარებაში წარდგინების პრაქტიკული ეფექტი შესაძლოა ძირითადად კონკრეტული საქმის შეჩერებით შემოიფარგლოს, ხოლო მისი უფრო ფართო ფუნქცია - კონსტიტუციური პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის კონსტიტუციური დიალოგის შექმნა - სრულად ვერ რეალიზდეს.

3.6. დრო: რამდენ ხანს ელოდება წარდგინება გადაწყვეტილებას

წარდგინების განხილვის ხანგრძლივობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან წარდგინების შეტანის შემდეგ კონკრეტულ საქმეზე წარმოება შეჩერებულია და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირდაპირ უკავშირდება საერთო სასამართლოში საქმის გაგრძელების შესაძლებლობას.

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებების განხილვის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, რეგისტრაციიდან საბოლოო სამართლებრივ აქტამდე (გადაწყვეტილება ან განჩინება) გასული დროის მედიანა 191 დღეა (102 წარდგინება,

მიმდინარე 4 წარდგინების გარეშე). ეს კი ნიშნავს, რომ წარდგინებათა ნახევარზე მეტი (51%) საბოლოო გადაწყვეტას ექვს თვეზე მეტხანს ელოდა, 22% - ერთ წელზე მეტხანს, 9% (9 წარდგინება) კი - სამ წელზე მეტხანს. ყველაზე ხანგრძლივი ლოდინი №684 წარდგინებას (3 542 დღე) მოუწია, მას მოსდევს №1352 (2 362 დღე); ჯერ კიდევ მიმდინარე №1587 წარდგინება უკვე 2003 დღეზე მეტია, გადაწყვეტას ელოდება.

განსხვავებული სურათი ჩანს პერიოდების მიხედვით (იხ. ცხრილი 6). კერძოდ, 2014 წლის აპრილიდან 2015 წლის ოქტომბრამდე შემოსული 9 წარდგინების მედიანა 377 დღეა, 2015 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ბოლომდე შემოსულის - 276, მაშინ, როდესაც 2018-2022 წლებში რეგისტრირებული წარდგინებების საბოლოო აქტამდე გასული დროის მედიანამ 1 189 დღეს მიაღწია. ბოლო პერიოდში ეს მაჩვენებელი კვლავ შემცირდა და 2024-2026 წლებში რეგისტრირებული წარდგინებებისთვის 106 დღეა.

ცხრილი 6. განხილვის ვადა პერიოდების მიხედვით (მედიანა, დღე)

პერიოდი (რეგისტრაციის მიხედვით)	წარდგინება	მედიანა (დღე)
1997 - 2004 წლის იანვარი	13	33
2014 აპრილი - 2015 ოქტომბერი	9	377
2015 ნოემბერი - 2017	52	276
2018 აგვისტო - 2022	13	1 189
2024 - 2026	15	106
სულ	**102**	**191**

შენიშვნა: პერიოდები მეტწილად მე-2 თავის ქრონოლოგიას მიჰყვება. მიმდინარე წარდგინებები (№1587, 1919, 1950, 1977) მედიანაში არ შედის. მათთვის 2026 წლის 1-ელ ოქტომბრამდე გასული დრო შესაბამისად 2 003, 309, 213 და 14 დღეა; ოთხი წარდგინება (№51, 90, 99, 796) რეგისტრაციის ზუსტი თარიღის არარსებობის გამო არ შედის.

ვადების განხილვისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა წარდგინებას არსებითი განხილვა არ სჭირდება, ამიტომ ლოდინს შედეგის მიხედვითაც უნდა დავაკვირდეთ (ცხრილი 7).

ცხრილი 7. განხილვის ვადა შედეგის მიხედვით (რეგისტრაციიდან საბოლოო აქტამდე)

შედეგი	წარდგინება	მედიანა (დღე)	უდიდესი (დღე)	> 6 თვე	> 1 წელი
არსებითი განხილვა (დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკ., არ დაკმაყოფილდა)	**30**	**255**	**3 542**	**19**	**14**
არსებითი განხილვის გარეშე - სულ	**72**	**120**	**2 362**	**33**	**8**
უარი (კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს)	22	110	318	9	0
უარი (უკვე იმსჯელა)	3	106	1 403	1	1
შეწყდა (ნორმა ძალადაკარგულია)	36	281	2 362	23	7
ძალადაკარგულად ცნობა (განმწესრიგებელ სხდომაზე)	11	99	105	0	0
მიმდინარე წარდგინებები (დღეები 2026 წლის 1 ოქტომბრამდე)	4	261	2 003	3	1

შენიშვნა: გამოთვლილია იმავე წესით, რომლითაც ცხრილ 6-ში; მიმდინარე წარდგინებებზე ითვლება 2026 წლის 1 ოქტომბრამდე გასული დღეები.

როგორც ცხრილი 7-დან ირკვევა, არსებით განხილვამდე ვერმისულ წარდგინებებზე (უარი, შეწყვეტა, განმწესრიგებელ სხდომაზე ძალადაკარგულად ცნობა), რომელთათვისაც ვადა დგინდება, საბოლოო აქტამდე მედიანა 120 დღეა, თუმცა მათი დაახლოებით 46% (72-დან 33) ექვს თვეზე მეტხანს ელოდა, ხოლო რვა - ერთ წელზე მეტხანს. არსებით განხილვამდე მისულ 30 წარდგინებაზე მედიანა 255 დღეა და მათგან 14-ს ერთ წელზე მეტი დასჭირდა. ეს კი ნიშნავს, რომ ხანგრძლივი ლოდინი მხოლოდ არსებით განხილვას არ უკავშირდება: ის ხშირად იმ წარდგინებებსაც ეხება, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითი მსჯელობა არც კი დასჭირდა. ოთხი წარდგინება კვლავ მიმდინარეა: მათი ლოდინი 14-დან 2 003 დღემდე მერყეობს და ცხრილში ცალკეა გამოყოფილი. თვალსაჩინოა განსხვავება განჩინების სახის მიხედვით: კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო უარის თქმის შემთხვევაში, განხილვის ხანგრძლივობის მედიანა 110 დღეს შეადგენს, ხოლო იმ წარდგინებებზე, რომლებთან დაკავშირებითაც წარმოება სადავო ნორმის ძალადაკარგულობის გამო შეწყდა - 281 დღეს.

ამ ვადების მიზეზის დადგენა არსებული სტატისტიკური მონაცემებით შეუძლებელია. შესაძლოა გავლენას ახდენდეს საქმეების სირთულე, მათი გაერთიანება (ამ შემთხვევაში ადრე შეტანილი წარდგინება მთელი ჯგუფის გადაწყვეტას ელოდება), სასამართლოს დატვირთვა ან სხვა გარემოებები. თუმცა, მიზეზის მიუხედავად, თავად ხანგრძლივი ლოდინის ფაქტი მნიშვნელოვანია, რადგან წარდგინება ერთდროულად ნიშნავს კონკრეტული საქმის შეჩერებასაც. ამიტომ განხილვის ვადა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის სტატისტიკური მაჩვენებელი არ არის. იგი უშუალოდ უკავშირდება

საერთო სასამართლოში მიმდინარე საქმის ხანგრძლივობას და, შესაბამისად, თავად წარდგინების მექანიზმის პრაქტიკულ ფუნქციონირებას.

4. დასკვნა: რას გვიჩვენებს წარდგინებების პრაქტიკაში გამოყენების სურათი?

1997-2026 წლებში საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების მაჩვენებელი ერთმნიშვნელოვან სურათს არ გვაძლევს. მის შესაფასებლად მნიშვნელოვანია, ერთიან სურათში დავინახოთ ინსტიტუტის სამართლებრივი და სასამართლო პრაქტიკის განვითარება და მისი ფაქტობრივი გამოყენების მაჩვენებლები - მიმართვიანობის დინამიკა, შედეგები და განხილვის ხანგრძლივობა.

წარდგინების ძირითადი სამართლებრივი კონსტრუქცია სამი ათწლეულის განმავლობაში არსებითად შენარჩუნდა, თუმცა ეს ნორმატიულ სრულყოფილებას არ ნიშნავს. ინსტიტუტის მარეგულირებელ ნორმებში თავიდანვე არსებობდა და ნაწილობრივ დღემდე რჩება განსხვავებული ფორმულირებები წარდგინების ფარგლების, დასაბუთების სტანდარტისა და საქმის შეჩერების წესის შესახებ. ამ პრობლემებზე აკადემიური ლიტერატურაც მიუთითებს. ამგვარი ნორმატიული არაერთგვაროვნება შესაძლოა პრაქტიკაში ერთ-ერთ ბარიერს ქმნიდეს როგორც მოსამართლის მიერ ამ მექანიზმის გამოყენებისას, ისე საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის ფუნქციური ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში.

ეს სირთულეები მხოლოდ ნორმატიულ დონეზე არ დარჩენილა და ინსტიტუტის გამოყენების ადრეულ პრაქტიკაშიც გამოიკვეთა. საკონსტიტუციო სასამართლოს მკაცრად ფორმალისტური მიდგომის პირობებში, წარდგინების ავტორს უწევდა არა მხოლოდ კონსტიტუციური ეჭვის დასაბუთება, არამედ საკმაოდ მკაცრი და ბუნდოვანი პროცედურული მოთხოვნების დაკმაყოფილებაც, ხოლო წარდგინებების მნიშვნელოვანი ნაწილი არსებითი განხილვის მიღმა რჩებოდა სწორედ ფორმალური საფუძვლების გამო. მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა შედარებით უფრო ფუნქციური გახდა და ცალკეული გადაწყვეტილებებით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხიც დაზუსტდა, თუმცა ყველა ნორმატიულ და პროცედურულ გაურკვევლობას პასუხი მაინც არ გაეცა. ეს გარემოებები შესაძლოა გარკვეულწილად ხსნიდეს მიმართვიანობის დინამიკას, თუმცა მხოლოდ არსებული მონაცემებით მათი გავლენის მასშტაბისა და მიზეზობრივი კავშირის დადგენა შეუძლებელია.

თავად მიმართვიანობის სურათი მკვეთრ ცვალებადობას აჩვენებს: აქტიურ პერიოდებს ხანგრძლივი პაუზები ენაცვლებოდა, მათ შორის, 2004-2014 წლებში სრული წყვეტა, ხოლო

შემდგომი ზრდა რამდენიმე კონკრეტულ პერიოდსა და საკითხზე იყო კონცენტრირებული. მთლიან მიმართვათა დაახლოებით 68% მხოლოდ ორ სასამართლოზე - უზენაეს სასამართლოსა და თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოზე - მოდის. ცალკეული პერიოდების მკვეთრი ზრდაც ხშირად ერთგვაროვან საკითხებს უკავშირდება. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მარიხუანასთან დაკავშირებული წარდგინებების ტალღა. ამდენად, რაოდენობრივი მატება თავისთავად ვერ გვიჩვენებს, რომ მექანიზმის გამოყენება საერთო სასამართლოების სისტემაში უფრო ფართო და თანმიმდევრული გახდა.

მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა ხდება საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების შესვლის შემდეგ. 110 წარდგინებიდან, არსებით განხილვამდე მხოლოდ 31 მივიდა. ამავე დროს, 31-დან 20 სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ანუ არსებით განხილვამდე მისულ წარდგინებათა უმრავლესობაში მექანიზმმა თავისი დანიშნულება შეასრულა: საკონსტიტუციო სასამართლომ საერთო სასამართლოს კონსტიტუციური ეჭვი გაიზიარა. მნიშვნელოვანია კიდევ 11 წარდგინებაც: მათზე საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არსებითად არ განიხილა, თუმცა განჩინებით სადავო „დამძლევი“ ნორმა ძალადაკარგულად ცნო, რაც შედეგობრივად დაკმაყოფილებას უტოლდება. ამდენად, შედეგი ზოგჯერ არსებითი განხილვის გარეშეც დგება. ამისგან განსხვავებით, როდესაც წარდგინება საერთო სასამართლოში საქმის შეჩერებას იწვევს, მაგრამ კონსტიტუციური საკითხი საბოლოო შინაარსობრივ გადაწყვეტამდე ვერ აღწევს, მექანიზმის პრაქტიკული ეფექტი შეიძლება უფრო მეტად პროცესის შეყოვნებასა და პასუხის მოლოდინში გამოიხატოს, ვიდრე ორ სასამართლოს შორის შინაარსობრივი კონსტიტუციური დიალოგის განვითარებაში. მსგავსი პრობლემა წარმოიქმნება მაშინაც, როდესაც საერთო სასამართლოს უკვე ჩამოყალიბებული სტანდარტის გამოსაყენებლად კვლავ ახალი წარდგინების შეტანა უწევს: ამ დროს წარდგინება შეიძლება შინაარსობრივი კონსტიტუციური კონტროლის ინსტრუმენტიდან გადაიქცეს ტექნიკურ პროცედურად, რომელიც საქმის შეჩერებასა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე გამოხატული პოზიციის (კერძოდ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული არგუმენტაციის) ფორმალურად მიღებას ემსახურებას. ეს ქმნის პრობლემას როგორც მექანიზმის ფუნქციური დანიშნულების, ისე სასამართლო რესურსის ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით. ამის თვალსაჩინო მაგალითია „მარიხუანას ტალღა“: 2015 წლის გადაწყვეტილების შემდეგ, 2016-2017 წლებში, ერთგვაროვან საკითხზე 40 წარდგინება შევიდა, ხოლო ნორმის ძალადაკარგულობის გამო შეწყვეტილ წარდგინებებზე, რომელთა უმრავლესობა სწორედ ამ ტალღას ეკუთვნის, პასუხის მოლოდინი მედიანურად 281 დღეს გრძელდებოდა.

ამ სურათს ემატება განხილვის ხანგრძლივობაც. რეგისტრაციიდან საბოლოო სამართლებრივ აქტამდე გასული დროის მედიანა 191 დღეა (102 წარდგინება, მიმდინარე 4 წარდგინების გარეშე), არსებით განხილვამდე მისულ საქმეებზე კი - 255 დღე. ვინაიდან წარდგინება მიმდინარე საქმის განხილვას აჩერებს, პასუხის დროულობა მხოლოდ პროცესის ადმინისტრირების საკითხი არ არის. ხანგრძლივმა ლოდინმა შეიძლება შეაყოვნოს კონკრეტული საქმის გადაწყვეტა და შეამციროს თავად მექანიზმის პრაქტიკული ეფექტი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საბოლოო პასუხამდე სამართლებრივი გარემო იცვლება, ან სადავო ნორმა აღარ მოქმედებს.

მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ წარდგინების გამოყენების ინტენსივობა ხშირად კონკრეტული სასამართლოების ან მოსამართლეების ინიციატივას უკავშირდება. ამასთან, ყოველთვის არ ჩანს, რომ საერთო სასამართლოების აქტიურობა და საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან რეაგირების ინტენსივობა ერთმანეთს შეესაბამება. ეს აჩენს ვარაუდს, რომ მექანიზმის პრაქტიკული მნიშვნელობა ორივე ინსტიტუციურ მხარეზეა დამოკიდებული: ერთი მხრივ, საერთო სასამართლოს მზადყოფნაზე, კონკრეტულ საქმეში დაინახოს კონსტიტუციური პრობლემა და გამოიყენოს წარდგინება, ხოლო, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობაზე, ამ მიმართვას დროული და შინაარსობრივი პასუხი გასცეს. ამ ურთიერთკავშირის მიზეზობრივი ახსნა არსებული რაოდენობრივი მონაცემებით შეუძლებელია. ის გამონათებები, რომლებიც პრაქტიკაში მაინც ჩანს, ძირითადად საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე ცნობილი არგუმენტაციის კონკრეტულ საქმეზე გავრცელებას უკავშირდება და ნაკლებად - ახალი კონსტიტუციური შეუსაბამობების აღმოჩენას. მოსამართლეები, რომლებიც წარდგინებით ახალი პრეცედენტის შექმნას ცდილობენ, ჯერჯერობით უმცირესობაში რჩებიან, რასაც, შესაძლოა, დროის ფაქტორიც განაპირობებდეს.

რომ შევაჯამოთ, კვლევა არ იძლევა არც საფუძველს, კონსტიტუციური წარდგინება პრაქტიკულად უმნიშვნელო ინსტრუმენტად მივიჩნიოთ, თუმცა იმის დასვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, რომ იგი სრულფასოვნად დამკვიდრდა. 1997-2026 წლებში დარეგისტრირებული 110 წარდგინება აჩვენებს, რომ მექანიზმი რეალურად გამოიყენება, თუმცა მისი პრაქტიკა ხასიათდება მკვეთრი კონცენტრაციით, ხანგრძლივი პაუზებითა და შემთხვევებით, როდესაც მისი შინაარსობრივი ფუნქცია სრულად ვერ რეალიზდება. ამ თვალსაზრისით, ინსტიტუტის სამართლებრივი არსებობა და მისი პრაქტიკული გამოყენებადობა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს: ცალკეულ მოსამართლეთა ან სასამართლოთა ინიციატივით წარმოშობილი აქტიურობა ჯერ არ გარდაქმნილა საერთო სასამართლოების სისტემაში თანაბრად განაწილებულ და სტაბილურ პრაქტიკად.

აქედან გამომდინარე, შემდგომი კვლევის მთავარი კითხვა აღარ არის მხოლოდ ის, რამდენად ხშირად გამოიყენება წარდგინება, არამედ ისიც, რა პირობებშია მისი გამოყენება რეალურად ფუნქციური და რომელი ფაქტორები განსაზღვრავს მოსამართლის გადაწყვეტილებას, მიმართოს, თუ - არა საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სასარგებლო იქნებოდა, ერთი მხრივ, იმ საქმეების შესწავლა, რომლებშიც კონსტიტუციური საკითხი არსებობდა (რაც შემდეგ გამოვლინდა საკონსტიტუტიო სასამართლოს გადაწყვეტილებაში), მაგრამ წარდგინება არ გაკეთებულა, ხოლო, მეორე მხრივ, იმ შემთხვევების აღრიცხვა, რომლებშიც მხარის შუამდგომლობა წარდგინების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამასთან, საჭირო იქნებოდა თავად მოსამართლეებთან ინტერვიუებიც, რომლებიც გამოავლენდა, რამდენად ცნობადია ეს ინსტიტუტი საერთო სასამართლოებში, როგორ ფასდება მისი გამოყენების პრაქტიკული შედეგები და რა ფაქტორები უშლის ან, პირიქით, უწყობს ხელს მიმართვას. მოსამართლეთა მიერ აღქმული სამართლებრივი, პრაქტიკული და ინსტიტუციური ბარიერების თვისებრივი შესწავლა ამ კვლევის შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება.

დანართი 1. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებები (1997-2026)

ცხრილი A1. წარდგინებები რეგისტრაციის ნომრის მიხედვით (110 წარდგინება; მონაცემები 2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

№	რეგ. თარიღი	სასამართლო	სადავო ნორმა / აქტი	შედეგი	საბოლოო აქტი	ვადა (დღე)
1997 – 2004 წლის იანვარი (16 წარდგინება)						
49	05.05.97	თბილისის დიდუბის რ/ს	სსსკ 89.4	განჩინება (უარი)	2/49/1	22
51	-	თბილისის ჩუღურეთის რ/ს	სსკ 23, 96	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	1/51	-
57	29.06.97	რუსთავის სასამართლო	შსს დირექტიული მითითება	განჩინება (უარი)	2/57/1	87
88	04.08.98	ჭიათურის სასამართლო	სსკ 94, 185, 186, 191	განჩინება (უარი)	2/88/1	240

№	რეგ. თარიღი	სასამართლო	სადავო ნორმა / აქტი	შედეგი	საბოლოო აქტი	ვადა (დღე)
90	-	თბილისის კრწანისის რ/ს	შსს ბრძანება №85 (საშტატო ერთეულები)	განჩინება (უარი)	1/8/90	-
99	-	თბილისის ს/ს	მინისტრთა საბჭოს №91 დადგენილება („დოსააფი")	განჩინება (უარი)	1/3/99	-
100	08.01.99	თელავის რ/ს	სსსკ 151	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	2/100/1	95
115	07.09.99	ხაშურის რ/ს	ბიუჯეტის შესახებ კანონის ცვლილება, მუხ. 7	განჩინება (უარი)	1/6/115	15
116	05.10.99	თბილისის ვაკე-საბურთალოს რ/ს	პრივატიზების კანონი, მუხ. 3; სამინისტროს დებულება	განჩინება (უარი)	1/8/116	56
176	18.03.02	ბათუმის ს/ს	საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონი, მუხ. 11, 12	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	7/176/2	32
177	19.03.02	თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რ/ს	წითელი ჯვრის შეთანხმება, მუხ. 3	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	8/177/2	63
189	07.06.02	თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რ/ს	მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები, ინსტრუქციები	განჩინება (უარი)	9/189	33
203	15.10.02	თბილისის საოლქო ს. (ადმ. კოლეგია)	რეფერენდუმის კანონი	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	11/203/2	49
214	16.12.02	უზენაესი ს. (ადმ. საკასაციო პალატა)	დღგ-ისა და საგადასახადო სისტემის კანონები	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	12/214	14
270	30.12.03	თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რ/ს	საგამოძიებო დეპარტამენტი; სსსკ; საგადასახადო კოდ.	განჩინება (უარი)	13/270	27
271	05.01.04	თბილისის საოლქო ს. (ადმ. სააპ. პალატა)	ნავთობისა და გაზის კანონი, მუხ. 19.2 „ბ“	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	14/271	21
2014 – 2015 წლის ოქტომბრამდე (9)						
583	01.04.14	ბათუმის ს/ს	სსსკ 159	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/1/0583	94
601	16.06.14	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 546, 518.1	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/3/601	191
608	17.09.14	უზენაესი ს.	სსსკ 306.4	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/1/608,609	377

№	რეგ. თარიღი	სასამართლო	სადავო ნორმა / აქტი	შედეგი	საბოლოო აქტი	ვადა (დღე)
609	17.09.14	უზენაესი ს.	სსსკ 297 „ზ“	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/1/608,609	377
619	25.12.14	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 546, 518.1	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/1/619	28
633	10.03.15	უზენაესი ს.	სსსკ 269.5 „გ“	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/1/633,634	400
634	11.03.15	უზენაესი ს.	სსსკ 269.5 „გ“, 306.4	გადაწყვეტილება (ნაწილობრივ დაკმაყოფილდა)	3/1/633,634	399
641	16.04.15	ქუთაისის სააპ. ს.	აჭარის ა.რ. ქონების მართვის კანონი, მუხ. 19.3	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/4/641	532
649	11.05.15	თბილისის სააპ. ს.	საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, მუხ. 112	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/1/649	198
2015 წლის ნოემბერი – 2017 (53)						
684	13.11.15	რუსთავის ს/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 197[1]	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	3/7/684	3542
685	16.11.15	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3	განჩინება (უარი)	3/3/685…	318
686	16.11.15	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3	განჩინება (უარი)	3/3/685…	318
687	16.11.15	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3	განჩინება (უარი)	3/3/685…	318
688	16.11.15	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3	განჩინება (უარი)	3/3/685…	318
689	16.11.15	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3	განჩინება (უარი)	3/3/685…	318
708	04.01.16	უზენაესი ს.	სსკ 3.3, 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	3/1/708…	53
709	04.01.16	უზენაესი ს.	სსკ 3.3, 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	3/1/708…	53
710	04.01.16	უზენაესი ს.	სსკ 3.3, 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	3/1/708…	53
736	15.03.16	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3	განჩინება (უარი)	3/3/685…	198
737	16.03.16	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3	განჩინება (უარი)	3/3/685…	197
758	19.05.16	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3	განჩინება (უარი)	3/3/685…	133
771	17.06.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	3/2/771…	104
772	17.06.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (THC)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/9/772	487
773	17.06.16	უზენაესი ს.	სსკ 260.3 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/10/773	487
774	17.06.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	334

№	რეგ. თარიღი	სასამართლო	სადავო ნორმა / აქტი	შედეგი	საბოლოო აქტი	ვადა (დღე)
775	17.06.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	3/2/771…	104
776	16.06.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	3/2/771…	105
777	17.06.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	3/2/771…	104
778	16.06.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	335
784	29.06.16	უზენაესი ს.	სსკ 260.3 „ე“, 273 (მარიხუანა, THC)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/11/784	475
785	29.06.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (THC)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/12/785	475
786	20.06.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	3/2/771…	101
787	04.07.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	3/2/771…	87
788	04.07.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	3/2/771…	87
789	04.07.16	უზენაესი ს.	სსკ 260.3 „ე“ (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/13/789	470
793	13.07.16	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3 (ირიბი ჩვენება)	განჩინება (უარი)	3/3/685…	78
794	18.07.16	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3 (ირიბი ჩვენება)	განჩინება (უარი)	3/3/685…	73
796	—*	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	—
797	19.07.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	302
798	19.07.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/4/798…	93
799	19.07.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	302
800	20.07.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	301
801	20.07.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/4/798…	92
802	20.07.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	301

№	რეგ. თარიღი	სასამართლო	სადავო ნორმა / აქტი	შედეგი	საბოლოო აქტი	ვადა (დღე)
803	20.07.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/4/798…	92
804	20.07.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	301
805	20.07.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (THC)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/14/805	454
806	20.07.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	301
807	20.07.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	301
815	09.08.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/4/798…	72
816	09.08.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	281
817	09.08.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/4/798…	72
818	09.08.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	281
819	09.08.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	281
820	09.08.16	უზენაესი ს.	სსსკ (1998) 10.3	განჩინება (უარი)	3/3/685…	281
830	15.09.16	უზენაესი ს.	სსკ 273 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/4/798…	35
855	08.11.16	ბოლნისის რ/ს	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო)	1/3/855	99
856	08.11.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	190
865	30.12.16	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	138
866	20.01.17	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/15/866	270
869	01.02.17	უზენაესი ს.	სსკ 260.1 (მარიხუანა)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/774…	105
1239	28.06.17	ბოლნისის რ/ს	სსკ 262.1 (მარიხუანის შემოტანა)	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/1/1239…	1758
2018 წლის აგვისტო - 2022 (14)						
1341	15.08.18	თეთრიწყაროს რ/ს	სსსკ 200.6	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/5/1341…	1409
1352	18.09.18	თბილისის ს/ს	სამოქ. საპროც. კოდ. 426.4	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/3/1352	2362
1387	18.01.19	თბილისის ს/ს	სსკ 260.3	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/3/1387	1189
1430	24.06.19	თბილისის ს/ს	სსკ 260.3 „ა“ (MDMA, მეტამფეტამინი)	განჩინება (შეწყდა, ძალადაკარგულია)	3/1/1430	360

№	რეგ. თარიღი	სასამართლო	სადავო ნორმა / აქტი	შედეგი	საბოლოო აქტი	ვადა (დღე)
1478	10.01.20	თეთრიწყაროს რ/ს	სსსკ 3.20, 25.2, 48	გადაწყვეტილება (ნაწილობრივ დაკმაყოფილდა)	3/2/1478	718
1520	30.06.20	თბილისის ს/ს	ადმ. საპროც. კოდ. 216³–216⁵; საგადასახადო კოდ. 246.3	გადაწყვეტილება (ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ერთ ნაწილში შეწყდა)	3/2/1520	1711
1543	23.10.20	თელავის რ/ს	სსკ 34.3; სსსკ 191.3	გადაწყვეტილება (ნაწილობრივ დაკმაყოფილდა)	3/4/1543	1358
1587	07.04.21	თბილისის სააპ. ს.	ადმ. საპროც. კოდ. 29.3, 31	განხილვა მიმდინარეობს	—	2003+
1607	21.05.21	ქუთაისის სააპ. ს.	სამოქ. საპროც. კოდ. 426.4	განჩინება (შეწყდა - სასამართლომ უკვე იმსჯელა)	3/4/1607	1403
1642	29.07.21	ბოლნისის რ/ს	სსკ 262.1 (მარიხუანის შემოტანა)	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/1/1239…	266
1648	08.09.21	თეთრიწყაროს რ/ს	სსსკ 167.4; ორგანული კანონები (შეჩერება)	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/4/1648	225
1660	24.11.21	თეთრიწყაროს რ/ს	სსსკ 200.6	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/5/1341…	212
1674	01.02.22	ბოლნისის რ/ს	სსკ 262.1 (მარიხუანის შემოტანა)	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/1/1239…	79
1715	11.07.22	თბილისის სააპ. ს.	თვითმმართველობის კოდ. 54, 57, 59	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	3/10/1715	1194
2024 – 2026 (18)						
1818	01.05.24	ზესტაფონის რ/ს	სსკ 44.4	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/9/1818…	450
1846	23.10.24	თეთრიწყაროს რ/ს	სსსკ 144.3	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/6/1846	244
1861	01.05.25	თბილისის სააპ. ს.	სსკ 44.4	გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა)	3/9/1818…	85
1914	07.11.25	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 45¹	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	3/1/1914…	139
1919	26.11.25	უზენაესი ს.	სსკ 44.4	განხილვა მიმდინარეობს	—	309+
1920	03.12.25	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 45¹; ნარკ. დანაშაულის ბრძოლის შესახებ კან. მე-3 (1¹)	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	3/1/1914…	113
1921	03.12.25	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 45¹; ნარკ. დანაშაულის ბრძოლის შესახებ კან. მე-3 (1¹)	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	3/1/1914…	113

№	რეგ. თარიღი	სასამართლო	სადავო ნორმა / აქტი	შედეგი	საბოლოო აქტი	ვადა (დღე)
1922	03.12.25	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 45¹; ნარკ. დანაშაულის ბრძოლის შესახებ კან. მე-3 (1¹)	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	3/1/1914…	113
1923	03.12.25	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 166, 173 (შენიშვნა, პ.4)	განჩინება (უარი)	3/2/1923	72
1928	15.12.25	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 45¹; ნარკ. დანაშაულის ბრძოლის შესახებ კან. მე-3 (1¹)	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	3/1/1914…	101
1929	15.12.25	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 166, 173 (შენიშვნა)	განჩინება (უარი)	3/3/1929	60
1931	25.12.25	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 166, 173 (შენიშვნა)	განჩინება (უარი)	3/4/1931	50
1938	29.01.26	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 45¹; ნარკ. დანაშაულის ბრძოლის შესახებ კან. მე-3 (1¹)	გადაწყვეტილება (არ დაკმაყოფილდა)	3/1/1914…	56
1939	29.01.26	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 45¹; ნარკ. დანაშაულის ბრძოლის შესახებ კან. მე-3 (1¹)	განჩინება (უარი)	3/7/1939	152
1950	02.03.26	რუსთავის ს/ს	სსკ 273	განხილვა მიმდინარეობს	—	213+
1953	16.03.26	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 45¹; ნარკ. დანაშაულის ბრძოლის შესახებ კან. მე-3 (1¹)	განჩინება (უარი, უკვე იმსჯელა სასამართლომ და ვერ დაინახა დარღვევა)	3/8/1953	106
1954	23.03.26	თეთრიწყაროს რ/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 45¹; ნარკ. დანაშაულის ბრძოლის შესახებ კან. მე-3 (1¹)	განჩინება (უარი, უკვე იმსჯელა სასამართლომ და ვერ დაინახა დარღვევა)	3/9/1954	99
1977	17.09.26	ქუთაისის ს/ს	ადმ. სამართალდ. კოდ. 173(16)	განხილვა მიმდინარეობს	—	14+

შემოკლებები: სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი; სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; რ/ს - რაიონული სასამართლო; ს/ს - საქალაქო სასამართლო; სააპ. ს. - სააპელაციო სასამართლო; ადმ. - ადმინისტრაციული. შედეგი: „უარი“ - წარდგინება არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული (განჩინება); „ძალადაკარგულად ცნობა“ - სადავო ნორმა განმწესრიგებელ სხდომაზევე ცნეს ძალადაკარგულად; „შეწყდა“ - წარმოება შეწყდა.

შედეგი: „გადაწყვეტილება“ - არსებითი განხილვის შედეგი (დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა); განჩინება - არსებითი განხილვის გარეშე მიღებული

აქტი, რომელიც ოთხ სახეს მოიცავს: 1. „უარი“ - წარდგინება არ აკმაყოფილებს არსებითად განსახილველად მიღების კრიტერიუმებს; 2. „უარი (უკვე იმსჯელა)“ - საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე იმსჯელა ამ საკითხზე (ნორმა ცნო ან არ ცნო ძალადაკარგულად); 3. „შეწყდა, ძალადაკარგულია“ - წარმოება შეწყდა, რადგან არსებითად განსახილველად მიღებამდე სადავო ნორმამ ძალა დაკარგა; 4. „დამძლევი ნორმა ძალადაკარგულად ცნო“ - წარმოება შეწყდა განჩინებით, თუმცა სადავოა ნორმა ძალადაკარგულად ცნო.

„საბოლოო აქტი“ - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო მისი არარსებობისას - განჩინება.

ვადა - დღეების რაოდენობა რეგისტრაციიდან საბოლოო აქტამდე; მიმდინარე წარდგინებებზე (მონიშნულია „+“) დღეები 2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობითაა დათვლილი და ზრდადია, სანამ საბოლოო აქტი არ გამოვა; „-„ - რეგისტრაციის თარიღი უცნობია, ამიტომ ვადა არ ითვლება.